

ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne
„IVERIA“

Directeur E. PATARIDZE.

სარედაქციო კოლეგია.

ივლისი 1954 — № 7 — JUILLET 1954

საგანგებო ნომერი მიქვნილი ალ. ასათიანისადმი

შინაარსი:

† ევგენი გუგუშვილი (ნეკროლოგი)	ე. პ.
ქვირფასო მეგობრებო	ალ. ასათიანი
ჩემი ცხოვრება	ალ. ასათიანი
სამშობლოს სამსხვერპლოზე	ელ. პატარიძე
ერის გუშავი	რ. ინგილო
ქვირფასო თანამებრძოლის ხსოვნას	დ. ვაჩნაძე
სიტყვა თქმული დასაფლავებაზე	გ. მაღალაშვილი
სიტყვა თქმული ნ. იორკის საზოგადო კრებაზე	დ. სინჯიკაშვილი
სამძიპროს წერილებიდან (ბ. მ. წყნეთლის, რას- ულ-ზადესი და სხვათა).	
გადახდილი პანაშვიდები	

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS
1954



ივერია

ქართული მკვლევართა კომიტეტის ორგანო.
პერიოდული გამოცემა

1954 ივლისი — № 7 — JUILLET 1954

† ევგენი გეგეჭკორი

ი-546

უკანასკნელი წლები მეტად მძიმე და ტრადიკული განაჩენით მოვლენა, საერთოდ ხანში შესულ, ქართულ-ეროვნულ ემიგრაციას. ეს წლები შავი თარიღით აღინიშნება ბრძოლაში ჩაბმული ერის მატრიანეში, ჩვენი პოლიტიკური მეთაურობის, დღემდე მეტად შენეირებულ რიგებს, კიდევ ვამოაცალა რამოდენიმე ფრიალ მნიშვნელოვანი პიროვნება. გარდაიცვალა სოციალისტური პარტიის მუუტეველი ბელადი, ჩვენი რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის მეთაური ნ. ჟორდანია. „მან შეაღო საქართველოს ისტორიის კარები იმ დროში, რომელიც მან აღმართა საქართველოს დედა ქალაქში 1918 წლის 26 მაისს“. ამ უკანასკნელი სიტყვების დამწერი, ჩვენი მიმართულების ბელადი ალ. ასათიანიც თან მიჰყვა იმდევ გაშლილ დროშას ისე მალე, რომ ერთხელ კიდევ გაღებულმა, საქართველოს ისტორიის კარებმა დახურვა ცერ მოასწრეს. „დაესტირით დიდი გამოცდილი ქართველი პატრიოტის დაკარგვას“ო, და ჯერ მისი დატირებაც არ დაგვიწყნარებია; რომ ქართულ გაშლილ დროშით ქართულ სასაფლაომდე და კიდევ ღიათ დაჩენილ საქართველოს ისტორიის კარებამდე მივაცილებთ დიდების სიმღერით, ამ პირველი დებემის განომზხაენი ევგენი გეგეჭკორი, ყოფილი მთავრობის საგ. I არცო საქმეთა მინისტრი და დიდი პოლიტიკური მოღვაწე. შაბათ დილით, ძილოსაგან გამოღვიძებულმა და სასოცოტებოდ უკანასკნელად ამდგარმა, საეარძელში მშვიდად ჩაიძინა და ვანელილ უკანასკნელ კვირასთან ერთად, დაასრულა მისი ხანგრძლივი და ფრიალ შინაარსიანი პირადი და პოლიტიკური ცხოვრებაც.

დღეს გონება დამძიმებულსთ და ცქმნობათა გამწარებულსთ, არ ძალევიძს, დიდი დროისა და სიერყის მანძილზე გაშლილი, მისი მოღვაწეობის ღირსეული აღნუსხვა - დაფასება. დრომდე, ვეცდებით მისი დიდი პოლიტიკური პიროვნების სურსათი პატარა ჩაჩოში მოვთათესოთ: ის ნიჭით-უნარით და მხნობა-ნებისყოფით ღვთისაგან უხვად დაჯილდოებული, იმ იშვიათ პიროვნებათაგანი იყო, რომელითაც ისტორიის მნიშვნელოვან ეპოქებში წილად ხედომიათ, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზის უმძლეს წერტილამდე აწვლს მათი ახალგაზრდობის ხანაშივე, ფრიალ ახალგაზრდას მთელი რუსეთის იმპერიის სივრცეზედ იცნობენ, როგორც სახელმწიფო - საათაბიროს გამოჩენილ წევრს. ისევე ახალგაზრდა, რუსეთისაგან ჩამოცილე-

ბულ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისარიატის თავმჯდომარეა. ამის შემდეგ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და შემდეგ იმავე მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მეფენი გეგმატორი ყმაწვილობიდანვე მოხდა სოციალისტურ-ინტერნაციონალისტური პარტიაში, რომელიც შემდეგ ნ. ჟორდანიამ ქართულ ეროვნული დროშის ქვეშ დააყენა. ეს გაჯეროება უადვილებს მას, ახალგაზრდობიდანვე პატრიოტულად განწყობილს ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის მუშაობასა და ბრძოლას. ის ეკუთვნოდა მისი პარტიის წარჩინებულთა იმ ფრთას, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობა ნაციონალური პრიმატის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. განსვენებულმა დიდი სამსახური გაუწია მის მშობელ ქვეყანასა და ერს.

უკანასკნელ ხანებში ქართული ეროვნული პრაბლემის მსოფლიო პოლიტიკურ არეში მოქცევით გამოწვეული მდგომარეობის ერთ-ერთ პასუხისმგებლად გრძნობდა ის თავს. ის არ შეიძლება ჩაითვალოს ამ მიმართულების მთავარ - საქედმბყრობელად. ბოლო ხანებში მან ბოლო მისი პოლიტიკური თუ დაბლომატიური გამოცდილება და უნარი მოახზარა იმ საქმიანობას, რომ ეს მცდარი ხაზი კულავ ნიქმართა ქართულ-ეროვნულ მიზნისა და დარსების შესატყვისად. ამით გამოწვეულმა შრომამ და განცდებმა უთუოდ დაჩქარეს მისი სიცოცხლის დღენი და მას ბედმა აღარ არგუნა ამ მოუღუნებით გაბზარულ ქართულ პოლიტიკური ფრთობის აღდგენა, მისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში რომ სტანჯავდა და აწვალედა.


ამ, კეთილ აღამიანის, კაცთ-მოყვარე, სათნო და თბილი ბუნების მქონე, კაცის უეცარმა გარდაცვალებამ სპონტანიურად დროებით შესცვალა ქართულ ემიგრაციაში დამყარებული სულიერი განწყობილება. მისი სითბო დაკარგულ გაცეებულ ცხედრის არგელივ ქართულთა საერთო სითბო შემოიკრიბა, წმინდა სანთლად ანთო ქართულ ერთობის კელაბტარი, რომლის სწნათლესუდ კვლავ გამოჩნდა საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას სიღრმეში ჩვენი სულიერი ერთობის ცოცხალი ძირები. ამ წმინდა სანთლის ნაწვეთი ცრმლები ამოაცესუენ ჩვენი ემიგრაციის შედაბირსუდ ყინვით დახეთქილ ბზარებს, და ამ გამთბარ ნიადაგსუდ კვლავ ძველ ძირებსუდ აღმოცენდება ქართული პოლიტიკური ძალთა სრული ერთობა.

ე. პ.

„მებრძოლ ძალთა მაქსიმალური ერთობა. ასეთია ჩვენი ერის გარდაუვალი ნებისყოფა. ასეთი წმინდა ერთობის შექმნისათვის, საქართველოში რომ პიროვნული განცდებთა და გრძნობების დათმობა. თორემ იდეათა და მიზნების სფეროში, არავის ექნება რაიმე დასათმობი, რადგან საქართველოს ბრძოლის მიზანი საერთოა და უდავო ყველა ქართული ძალებსათვის. ქართულ ასპარეზზე ეს ადვილად იქმნა მოღწეული, ხოლო ეროვნულ სხულსა მოწვევტილ ემიგრაციაში ეს გრძელდება..... მაგრამ ჩვენ უნდა გვეტონდეს იმის რწმენა, რომ მას მავალწევთ, რადგან ემიგრაციაში თუ ხშირად ავადმყოფური აღმოსაფურს მყარდება, ხშირად ჯანსაღი სითუ შეტკილა მასში და იმედა კვლავაც ასე მოხდება.“

(„სამშობლო“ № 23-24)

აღ. ახათიანი-ს წერილიდან



ალ. ასათიანი (1889 -1953)
 ძვირფასო მემორიუმო.

ამ მოკლე ბარათით მოგესალმებით ყველას ერთობით და გისურვებთ ყოველივე ბედნიერებას და უპრობლემოდ ყოველთა ჯანმრთელობას, რომ გაუძლოთ ჩვენი ვარდახეყნილობის მძიმე პირობება და თქვენ მსინც მიაღწიოთ მშობლიურ კერას. ჩვენი უფროსი თაობა დადნა ჩვენს თეატრს და ჩვენი თაობიდანაც მეტად დაჩქარდა ეს პროცესი. ამიტომ-

დან, ბუნებრივი წესით თქვენს თაობას დააწვება მთელი სიმძიმე ჩვენი უკონფლიქტო ბრძოლისა და მოქმედების. ის ახალი და უცნობი არ არის თქვენთვის. ქაბუკობიდან ჩამდგარი ხარო ამ დიდი ერთფეული ბრძოლის რიგებში, და როგორც არ უნდა გაიზარდოს ამ ბრძოლაში თქვენი ტვირთი და პასუხისმგებლობა, თქვენ მას აზიდავთ და არ გაექცევით. როგორც თქვენ ამოგვიდებთ მხარში, იმ ხანად სულ ყმაწვილები, ისე თქვენც მოგეშვილებიან და თქვენს რიგებს შეაგებენ თქვენი მომდევნო ახალგაზრდები.

ჩემი ცხოვრება

(ავტო-ბიოგრაფია, მის მიერვე დაწერილი სიკვდილის წინა დღეებში)

დაიბადა 10 აპრილს 1889 წ. სოფ. ბარდნაღაში (ლენჩხუმი) მამა მისი - სამსონ ასათიანი იყო სოფლის მეურნე, კერძო ვეჭალი და საზოგადო მოღვაწე და დედა - მარგალიტა, ოტია გარდაცხადის ასული. ბავშვობა გაატარა თავის სოფელში და სენანეთში, დედის სახლში.

საშუალო განათლება დაიწყო ქუთაისის თავად-აზნაურობის პრო-გინაზიაში და დაასრულა რეალური საწავლებელში. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის უმაღლეს კომერციულ ინსტიტუტში, სადაც დაასრულა ეკონომიურ განყოფილების საერთო კურსი, რის შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ მან მიიქცია ცნობილი მეცნიერის ლ. ი. პეტრაჟიციუს ყურადღება, და მუშაობდა მისა ხელმძღვანელობით. პროფ. პეტრაჟიციუს თხოვნით, უნივერსიტეტმა გამოითხოვა სამინისტროსაგან ნებართვა, რომ ა. ასათიანი ისთვის მიეცათ მეორე სტიპენდია, რაც არ იყო დაშვებული. ის სტიპენდია რომელსაც ის ღებულობდა ქუთაისის თავად-აზნაურობის საკრებულოდან, ფაკულტეტს არ მიაჩნდა საკმარისად მეცნიერული მუშაობისათვის. პროფ. პეტრაჟიციუს მიერ დანიშნული იყო გერმანიაში გასაგზავნად მეცნიერული მუშაობის გასაგრძელებლად, მაგრამ ომი დაიწყო და ეს ვერ განხორციელდა.

1914 წლის დასასრულში დაბრუნდა სამშობლოში და დაბინავდა ქუთაისში. აქ ის ჩაეწერა ვეჭალთა კოორპორაციაში და თანამშრომლობდა ეროვნულ მიმართულების გაზეთში (სამშობლო). ა. ასათიანი ხშირად იგონებდა იმ ხანად მისი კიდევ ერთს ასპარეზზედ-თავად-აზნაურობის საკრებულოში - მუშაობის საინტერესო გზოვლებს. — პეტერბურგიდან რომ დაებრუნდი, მამამ გამაცნო თუ რამდენად უძნელდებოდა მას 12 ქალ-ვაჟის აღზრდა და განსაკუთრებით მათი სკოლებში მოთავსება შორეულ ლენჩხუმიდან. ბერძნისაგან ვაჟი დაეაღებულები და განსაკუთრებით, თ. აშ. საკრებულოდან, რომელიც დიდს დახმარებას მიწევდა ბავშვების სკოლებში მოთავსების საქმეში, და შენ კიდევ მან სტიპენდიაც დაგინიშნათ. ამიტომ შენ ვალდებული ხარ დაეხმარო მათს მუშაობაში,

მისი სიცოცხლის უკანასკნელ საათში დაწვებული და დაუშინავრებელი წერილი.

თუ ეს მათთვის საჭირო იქნებაო. მე სიამოვნებით შევასრულე მამის თხოვნა და ასეთი განცხადებით წარუდგეი გუბერნიის მარშალს, დავით ნიჟარაძეს. მე მას პირადადაც კარგად ვიცნობდი და აგრეთვე მის წინეთ მყოფ მარშალსაც, როდესაც პეტერბურგში ჩამოდიოდენ, ყოველთვის დამიბარებდენ და გამომკითხავდენ, თუ რაგორ ვმუშაობთ მათი სტიპენდიანტები. ხშირად ვიზიტსაც გადამიხდიდენ და ამან ერთხელ დიდი მღელვარება გამოიწვია იმ ოჯახში, სადაც მე ვსცხოვრობდი. სახლში რომ დაებრუნდი, აღელვებულმა დისახლისმა სადარბაზო ბარათა გადმომცა, რომელზედაც ეწერა: თავადი სიმონ წერეთელი, უმაღლესი სასახლის კამერჯერი, ქეთიასის თავად - აზნაურობის მარშალი. როდესაც მოვახსენე: — მეტად უხერხულად ვგრძნობ თავს, თავადო, თქვენ მიერს თვის მუწუხების განოთქო, მიპასუხა: არ გაქვთ ამის მიზეზი. მე თუ მარშალი ვარ თქვენ პრეზიდენტი ხართო. იმ ხანად პეტერბურგის ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარე ვიყავი.

დავით ნიჟარაძე შეტად ნასიამოვნები დარჩა ჩემი დეკლარაციით. — არ ვფიქრობ შეილო რომ შენ დიდი ხნით დარჩე აქ, ჩვენთან. მოსალოდნელაა, რომ მალე გაცილებით უფრო დიდი მოვლენები წამოიჭრება იმ ჩვენს წინაშე, ვიდრე ეს ჩვენი საქმეა და შენსთანა ახალგაზრდები იქ უფრო საჭირო იქნებიან. მაგრამ დროებით თუ ამოგვიდგები გვერდში იმ მუშაობაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, მოსაანანებლად არ გაგახდება. ჩვენი დაწესებულება ერთად ერთი ლეგალური ქართული დაწესებულებაა, რომელსაც ზოგიერთი უფლებებიც აქვს ჩვენი ერთოვნული ინტერესების დასაცავად და ამასთან ერთად ის ჩვენი პატარა ერთოვნული ხაზინაცაა. ჩვენი ბანკების მთელი მოგება საზოგადო საჭიროებებზედ იხარჯება და მნიშვნელოვან სახსარს აწვდის ქართულ სკოლას, ქართულ თეატრს, ქართულ მეცნიერებას და მრავალ სხვა ერთოვნულ საქმეს. აქ შენ გაეცნობი ამ ჩვენს ერთოვნულ საჭიროებებს და ეს გამოგადგება მომავალს მოღვაწეობაშიო. ა. ასათიანი მიწვეულ იქნა საკრებულოს მეორე მდივნად და მარშალს პირად მდივნად. მაგრამ ერთი წლის შემდეგ იძულებული გახდა მიეტოვებინა ეს საქმე, როგორც მას ეს უწინასწარმეტყველა დავით ნიჟარაძემ.

იმ ხანად ქართველი ახალგაზრდობის ერთი წრე, სპ. კედიას, რეგ. გაბაშვილის, დ. ვაჩნაძის, შ. ამიროჯიბის და სხვ. მეთაურობით მუშაობას აწარმოებდა პოლიტიკური პარტიის დასაარსებლად ი. ჭავჭავაძის და მისი მესამოციანთა დასის ერთოვნულ იდეების საფუძვლებზედ. თვითონ ჭავჭავაძემ დაიწყო ეს საქმე და ვრცელი პროგრამაც შეადგინა „ქროვლელ დემოკრატიული პარტიისათვის“, 1903 წელს. მაგრამ მის მიერ აღზრდილი თაობა ჩამბული იყო მესამოციანთა დასის მიერ დაფუძნებულ დიდ ერთოვნულ საქმეში - ცხოვრების ყველა ასპარეზზედ და ამ ახალ საქმისათვის საჭირო ძალები აღარ აღმოაჩნდათ. დიდი ილიას მოწამებროვმა სიკვდილმა ეს ძალები რასაკვირველია დაასუსტა. ახალგაზრდათა ჯგუფის ენერგიულად გამოსილამ სამოქმედო ასპარეზზედ ეს ძალები განოაცოცხლა. ამ წრეს სამი პერიოდული გამოცემა ჰქონდა იმ ხანად — „საქართველო“ და „კლდე“ თბილისში და „სამშობლო“ ქუ-

თაისში. 1916 წ. დასაწყისში ასათიანი გაწვეული იყო ამ წრის მიერ თბილისში და მას ჩააბარეს პარტიის დაარსებისათვის საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობა.

ერთი წლის შემდეგ მოწვეულ იქმნა ეროვნ. დემოკრატ. პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. აქ თავი მოიყარა ოთხმა თაობამ. მესამოციანთა თაობას ნიკო ნიკოლაძე წარმოადგენდა და მის მომდევნო თაობას — გ. გვახაია, ვას. წერეთელი, ვახ. დამბაშიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ივ. ზურაბიშვილი, იოსებ ოცხელი, ს. ქვარიანი, ი. დადიანი, პ. გოთუა და მრავალი სხვა. საქმის თოსანთა ახალგაზრდობის წრე უკვე დიდათ იყო გაფართოებული და მას კიდევ მოჰყვებოდა მონსწავლე ახალგაზრდობის წრე. წარმოდგენილი იყვნენ ქართული მეცნიერების და მწერლობის დიდი მეთაურები, მთელი საქართველოს სივრცეზედ საუკეთესო სოფლის მეურნეები და მრეწველნი. ერ. დემ. პარტიას უკვე დარჩმული ჰყავდა თავის გარშემო ქართველი ერის მემომქმედი და კონსტრუქტიული ძალები. ყრილობამ აირჩია პარტიის მთავარი კომიტეტი. ა. ასათიანი პარტიის თავმჯდომარის ამხანაგად იქმნა აირჩეული.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაისახა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის შესაძლებლობები. ერ. დემ. პარტიამ ქართველ სამღვდელეობასთან ერთად აღადგინა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და მისი რივი ფრთად დიდი იყო შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემზადებაშიც. ასათიანი მუშაობდა პარტიაში, პრესაში უმთავრესად ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხებზედ სწერდა და ცალკე წიგნად დაბეჭდა „მიწის საკითხი საქართველოში“. და დამფუძნებელ კრებაშიც, უმთავრესად, ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხებზედ გამოდიოდა. პარტიულ ორგანიზაციების გაფართოებასთან ერთად, ერ. დემ. პარტიამ განიზრახა ქართულ კონსტრუქტიული ძალების დარჩმვა. მან შექმნა სასოფლო მეურნეობის ყველა დარგებში მწარმოებელთა კავშირები, რომელნიც სასოფლო სამეურნეო პალატაში გაერთიანდნენ. ასევე ვაჭრობა — მრეწველობის ორგანიზაციები საეაქრო — სამრეწველო პალატაში თავმოყრილნი. ა. ასათიანის ორგანიზაციული ნიჭი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ამ საქმეებში, ერთ ხანად მას მოუხდა პარტიის ფინანსიური საქმის ხელში აღება და მისი გაძლიერება. პარტია სრულყოფილ დაიშრიტა საღისრიოვან. ქუთაისში გაზეთი დაიხსრა. მთავარი ორგანო „საქართველოც“ შეწყდა გაურკვეველ დრომდე. საქართველოში ქალაქი არ იშოვებოდა. მთელი ვალსტა და ექსპორტ — იმპორტი მთავრობას ხელში იყო. იმნაც ვერ მოახერხა ეს საქმე და მთავრობისა და მისი პარტიის გამოცემები გასახვევ ქალაქზედ იბეჭდებოდნენ. წიგნების გამოცემა შეწყდა, თვით სკოლის სახელმძღვანელოებისაც. ა. ასათიანმა მოახერხა აზერბეიჯანის მთავრობასთან ერთი ვაგონი ქალაქის გამოტანის ნებაყოფის გამოთხოვა. გ. ცხაკაიას დახმარებით, რომელიც ბაქოს ქართველების სახელით აზერბეიჯანის ბარლამენტის წევრი იყო. როდესაც ინგლისელებმა დასტოვეს ბათუმი, იქაც აღმოაჩინა ქალაქი და შეიძინა ის ცენტრობანკის შემწყობით, რომლის საბჭოს წევრი იყო. შემდეგ მან მოაგვარა იმ დროში უთუოდ

ერთად ერთი, მეტად რთული ფინანსიური ოპერაცია. არც ვალოუტა ჰქონდა, არც გასაცვლელად სექსპორტიო საქონელი და არც ქართული ფული და არც რაიმე ვინმეს გარანტია. ერთი უცხოელი ფირმის დირექციის მისდამი მხოლოდ ნდობის შემწერბით ფინლანდიიდან ქალაქის დიდა პარტია ჩამოიტანა. ქართულ ბანკებს საკმარისი თავისუფალი თანხები არ აღმოჩნდათ, სომხის ბანკებიც დაიხმარეს, ქალაქი დაიგორავეს. მიღებული ქართული ფულით „ჩემოს“ ორი წერის, ბა. ჰაპავის და პერსენაკის დახმარებით უცხო ვალოუტად აქცია და ვალო გადაიხადა. ეს ქალაქი მეტად იავ ფასებში იყო შექმნილი, რის გამოც ის მძლავრ ფინანსიურ ბაზას უქმნიდა პარტიას და მის გამომცემლობას. შემწყდარი გამოცემები განახლდნენ გაცილებით უკეთესი სახით, ახალი გამოცემა დაარსდა - ევირეული „სოფლის გაზეთი“. შექმნილი იქმნა კავკასიურ პოლიტიკისთვის რუსულ ენაზედ რომ გამოდიოდა „საკავკასიკო რევი“, კონია თუმანიშვილის, პაპოუნ გოთუას და გ. ამირეჯიბის მეთაურობით, თავისი სტამბით. შექმნილი იქმნა აგრეთვე დიდი სომხური გამომცემლობა. აქციონერული საზოგადოება „მაშული“, დიდი სტამბაპოლიგლოტი, 30 ენაზედ შრიფტით. წიგნების გამომცემლობაც უზარუნველყოფილი გახდა ქალაქში და განახლდა. ამ სახით ქართული პოლიტიკური და აკადემიურ გამოცემათა დიდი უმრავლესობა ერ. დემ. პარტიის ხელში იყრიდა თავს. ამ ქალაქის ორი მესამედი ნაწილი კომუნისტებს ჩაუფარდათ ხელში, როდესაც საბჭოთა კავშირი საქართველოს შეესია.

დამოუკიდებელ საქართველოს წაქცევამ ახალი და მეტად მძიმე ამოცანები დაუსახა ერ. დემ. პარტიას. საქართველოს განთავისუფლებიანათვის ახალი ბრძოლის დაწყება იყო საქირო და ამისთვის პარტიულ აპარატის რადიკალური რეორგანიზაცია სათავედან სულ დაბალი ფენებამდე, და ამ ახალი მძიმე ბრძოლისათვის გამოსადეგ ძალების სავსებით დაფარულ ორგანიზაციებში მოქცევა. ამ ორგანიზაციების სამხედრო წესზედ აება, ქართველ მხედრებთან ერთად. კიდევ ცალკე მხოლოდ მხედრებისაგან შემდეგ სამხედრო ორგანიზაციის შექმნა, სხვა პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმება და საქართო პოლიტიკური ცენტრის „დამკომის“ შექმნა. სვანეთის აჯანყება 1921 წელს. კახეთ-ხევსურეთის, ქ. ჩოლოყაშვილის მეთაურობით 1922 წ. და 1924 წ. აჯანყება - ყოველივე ეს ერთად დიდი ბრძოლისა და მოქმედების ეპოპეია და ამ ეპოქის ისტორია დაასვენის, რომ მისი მთავარი დერძი ერ. დემ. პარტია იყო ა. ასათიანი ამ დიდ ბრძოლათა შუაგულში იყო თავიდაგანც. უცხოეთში გასულამდე, კახეთის აჯანყების საერთო აჯანყებად გადაქცევა რომ გადაწყდა, მან ციხიდან გაქცევა მოახერხა და დასავლეთი საქართველოს ფარული პარტიული და სამხედრო ორგანიზაციები შემოკრიბა. ხოლო, როდესაც გადაწყდა ამ აჯანყების გადაღება, პარტიის ცენტრის დავალებით უცხოეთში გაემგზავრა, რომ იქ გამოერკვია ამ ჩვენი ბრძოლისათვის დაპირებულ დახმარებათა სინამდვილე და სხვა საფარუო პოლიტიკური პარტიებზე. მან ეს მოახარხა და უცხოეთიდან შეატყობინა პარტიას რომ საერთო აჯანყებისათვის და გადაწყვეტ ბრძოლის

მიცემისათვის არც დახმარება არის მოსალოდნელი და არც სხვა საგარეო პირობებია ამისთვის ხელსაყრელი. რომ ფარულ მებრძოლ ძალთა თავდაცვისათვის და მათი შენარჩუნებისათვის შესაფერ დროისთვის, მცირე პარტიზანული ჯგუფების შენახვაა საქმარი და, როდესაც საქმარი ება ნოითხოვს, მათი მოქმედება საფსებით საქმარისი იქნება და მიზანშეწონილი.

1924 წლის აჯანყების დროს ა. ასათიანი გაემგზავრა საქართველოში შესასვლელად. სტამბოლში რომ ჩავიდა, იქ ტელეგრაფმა დახვდა, რომ ჩოლოყაშვილი თავისი რაზმების ნაწილით საზღვარზეა გადმოსული და ევროპაში მოდის. ა. ასათიანმა დაინახა, თუ რამდენად საშიში იყო მარტო ქართული ძალებით გაგრძელება ამ ზომად აქტიური ბრძოლისა. დ. ვაჩნაძესთან და მ. წერეთელთან ერთად მოლაპარაკება გამართა ჩვენი მეზობლების პოლიტიკური მოღვაწეებთან და 1924 წ. სექტემბერში ამ ძალებმა დააარსეს „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“. ორი წლის შემდეგ ამ კომიტეტში შევიდნენ ქართული სოც-დემ. პარტიისა და მუსავატის წარმონაღვრელები. კავკასიის კომიტეტი ვახდა საქართველოს, აზერბეიჯანის და ჩრდილო - კავკასიის პოლიტიკური ბრძოლის საერთო ხელმძღვანელი ორგანოდ. ამის შემდეგ შეიქმნა კიდევ უფრო ფართო ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის მიერ დაბრუნებულ ყველა ერების „პრომეთეს“ კავშირი. ა. ასათიანი იყო ქართულ ერთეულ საბჭოსა, კავკასიის და „პრომეთეს“ ცენტრალური ორგანოს წევრი. აურნალ „პრომეთეს ერთეული რევოლუციური და „პრომეთეს“ პოლიტიკური კლუბის თავმჯდომარე, ბაზოზში. ემიგრაციაში პირველი ქართული წიგნი მან გამოსცა სტამბოლში. სამხედრო ორგანიზაციის მიერ მიღწეული საქართველოს ბრძოლებში დაღუპულთა მსოფს. შემდეგ ხელმძღვანელობდა აურნალ „სამშობლოს“, თანამშრომლობდა სპ. კედისა მიერ გამოცემულ გაზეთში „სამშობლოსათვის“, „ივერიაში“ და კავკასიურ გამოცემებში. ცალკე წიგნად გამოსცა „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“ და შემდეგ „ქართული პოლიტიკის ძველი და ახალი გზები“.

ა. ასათიანმა მრავალჯერ შემოიარა ევროპის ქვეყნები, სადაც კი რამე ინტერესი დაინახებოდა ქართულ ბრძოლის საქმისათვის: ოსმალეთი, პოლონეთი, იტალია გერმანია, რუმინეთი და სხ. ზოგჯერ ამ ქვეყნების მმართველ წრეების მიწვევით და ზოგჯერ კიდევ თავის ინიციატივით.

უკანასკნელი ომის დროს ა. ასათიანმა მოახერხა საქართველოს საზღვრამდე მისვლა. ამზადებდა სამშობლოში შესვლას, რომ იქ გონიერ ქართველ ძალებთან ერთად გამოეჩნა გზები თავიდან ასაცდენად ისეთი ამბებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა პოლონეთში, უკრაინაში და სხ. პიტლერის ჯარების შესვლის შემდეგ. საქმარი იყო ორი თვის დაცდა რომ სვანეთის გადასავალ მთებზედ თოვლი გამოგრებულიყო. გერმანულ ჯარების უკან დახევა დაიწყო და ეს ექსპედიცია აღარ იყო საქმარი. ა. ასათიანი ამის შემდეგ ქართველ ტყვეებთანავე შემდგარ ლეგიონებში მუშაობს, ლექციებს კითხულობს საქ. ისტორიაზედ, ლიტერატურაზედ, მათთვის საგანგებოდ დაარსებულ კურსებსაც ხელმძღვანელობს.

მისი მიზანია ამ ქართველ ახალგაზრდობის ქართულ იდეისა და ქართულ მოძრაობის გავლენაში მოქცევა. 1944 წლის აგვისტოს დასაწყისში ამას სტოვეებს და მიეშურება სამხრეთ საფრანგეთში, სადაც ისპანიის საზღვართან ხუთი ათასი ქართველი და ორი ათასი ჩრდილო-კავკასიელია დაბანაკებული. სამი ქართველი ოფიცერი მიჰყავს და იმედი აქვს მათი გადაყვანის ისპანიაში და იქიდან ჩრდილო-აფრიკაში. ათი საათის ნაცვლად ათი დღე დასჭირდა იქ ჩასასვლელათ. რკინის გზა არ მუშაობდა. ყველა ხიდები დასგრეული იყო და ველარ ჩაქსწრო. ეს ნაწილები გადაყვანილი იყვნენ იქიდან და, როდესაც მიაკვლია, ისინი უკვე საბჭოთა ოფიცრების ხელში იყვნენ. მეგობრები ცდილობდნენ მის იქ დატოვებას და შენახვას, სანამ პარიზის ქართველობაში დაწყებული დაქუცრები შენულდებოდა. წინააღმდეგ, დააჩქარა დაბრუნება - ვისაც იჭერენ, ყველა მათზე მეტი პასუხისმგებლობა მე მაწევს და მეც იქ უნდა ვიყო. დაბრუნდა, ოთხი თვე ციხეში გაატარა, არაძიც თუ თავისი - „დანაშაული“, არამედ ყველა სხვებისაც თავის თავზედ აიღო, მაგრამ დასახულ მიზანს საესებთი მიაღწია. მან დაუმტკიცა ქართველთა საქმეების გამომძიებელს რომ ქართველებს არ დაურღვევათ არც კეთილი სტუმართმასპინძლობის წესები და არც ფრანგებისადმი მეგობრობის მოძრაობა, რომ ქართველები გამაგრებოდნენ უმაღლეს პატრიოტულ მიზნებს, რაც საფრანგეთის ტრადიციული მოძრაობით მუდამ ითვლებოდა არა დანაშაულად, არამედ სასახლო და საპატიო საქმედ. ამის შემდეგ იგი იძულებული გახდა ფეხით გადასულიყო პირენეის მთებზე და ისპანიაში დაჰყო ოთხი წელიწადი. იმავე გზით უკან დაბრუნდა და კვლავ ენერჯულად ჩაება ქართულ და კავკასიურ მუშაობაში.

მთელი მისი ცხოვრების მანძილზედ ა. ასათიანი მუდამ და ყველგან აქტიური ბრძოლის სახედათო და საშემო პოზიციებზედ იმყოფებოდა. მრავალს ხიფათს და განსაცდელს გადაიჩინა და ყველა მისი მეგობრები ჰფიქრობდნენ, რომ მას ბედი განსაკუთრებულად სწყალობდა. ნამდვილად კი ის მეტად ბოროტი და უმოწყალო გამოდგა. განსაკუთრებული ჯანმრთელობით აღტურვილს ისეთი სენი შეუტრია, რომელსაც ვერ უძლებს ვერავითარი ჯანმრთელობა.

როდესაც აღმავანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზედ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით არის დატვირთული, ცხოვრების დასრულების ეამს მეტად მძიმედ განიცდის ამ პასუხისმგებლობას. უთუოდ ყველანი ასე აფასებენ განვილი ცხოვრების გზას, რომ მას ვაცილებით მეტად და ვაცილებით უკეთ შეეძლო ამ პასუხისმგებლობის გამართლება და განაღდება. ყველას რჩება ბევრი რამ დაუსრულებელი. მეც ასე მომივიდა. ბევრი რამ მჭონდა დასაწერი ისეთი, რომელიც შეიძლება სხვას არავის შეეძლო შესრულებინა ისე, როგორც მე ვინაიდან მეტად მრავალი დღე საქმის მონაწილე ვიყავი, და ზოგან თაოსანი და შემსრულებელი. დამარჩა კიდევ ოცი წლის ნაფიქრი და ნამუშევარი თანამედროვე ეპოქის შესახებ, შესაძლოა მეტად საყურადღებოც ყოფილიყო და არა მარტო ჩვენთვის ქართველებისათვის. მინდოდა 4-5 თვე ნორმალური ცხოვრება და ამ მოლოდინს ეს საქმე შეუსრულებელი დამატოვებინა.

თაობა თაობას მისდევს. თქვენ საყმაწვილიდან ჩაბმული ხართ ჩვენ საყრთო ბრძოლაში. ვისურვებთ გამარჯვებას!

აღ. ასათიანი

სამსოგლოს სამსხვერპლოზე

დაბყრობილ და სახელმწიფოს საფუძვლებს დანგრეული ერის თავისუფლებისა და აღდგენა- აღორძინების იდეური მეთაურ ილიას სისხლი, წიწამურის ველზე დაიდგარა, მტრის ბიერ მოსყიდული ხელით.

ილიას მიერ მოცემულ იდეა-იდეებისა და აზრების ორგანიზაციის მიხედვით და მისი თანამგრძობ მესამოციანთა წლებს ეროვნულ მოღვაწეთა მიერ, შექმნილ ნაციონალ-პოლიტიკურ ასპარეზზედ შემოიკრიბა, დაასრულა ეროვნულ- დემოკრატიული მიმართულება, რომელიც საბოლოოდ 1917 წლის თებერვლში, ორგანიზაციულად მოწყობილი პოლიტიკური პარტიის სახით, მოველინა ქართულ საზოგადოებას. იდეური თუ პრაქტიკული პოლიტიკის საკითხებისადმი მეთაურთა სხვა და სხვა შეხედულებანი, მიხეზი გახდა პარტიაში ფრაქციების შექმნისა.

1921 წ. დასაწყისში საქართველოს იდეა-ქალაქ თბილისში ყრილობაზედ შეიკრიბა პარტიის წევრთა 365 წარმომადგენელი, მოსულნი საქართველოს ყოველი კუთხიდან. ამ ისტორიულ ყრილობაზედ მონადა საქ. ერ. დემოკრატიულ პარტიასთან მტკიცე საფუძვლებზედ, იდეურათ მასთან მონათესავე ჯგუფების გაერთიანება. არჩეულ იქმნა მთავარი კომიტეტი, დადასტურებული პარტიის პროგრამა და პოლიტიკური მოქმედების გეზი.

თავისუფალი საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ასპარეზზედ ისახებოდა ამ სახელმწიფოებრივი პარტიისათვის საიმედო პერსპექტივები. მის ფარგლებში მოთავსებულ მეცნიერული, კულტურული, სასოფლო მეურნეობისა თუ ეპქრობა - მრეწველობის, ეკონომიურ- ფინანსიურმა წრეებმა, მოუშზადეს და შეუქმნეს საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოს აღდგენას, სულიერი და მატერიალური საფუძვლები. ეს ძალები მეთაურობდნენ და განაგებდნენ სწამდვილში, აღდგენილი საქართველოს სულიერი და მატერიალური ცხოვრების დაარგებს. ამ ძალების ერთ სახელმწიფოებრივი პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციაში მოქცევა, ახლო მომავალში უთუოდ მათ სახელმწიფოს მართვა - გამგებლობის პოლიტიკურ საქმესაც მიანიჭებდა.

ერთხელ კიდევ შესწყდა ქართველი ერის თავისუფალი სახელმწიფოს არსებობა. ამ მოვლენამ სხვა დანიშნულება და მიმართულება მისცა, საქართველოს თავისუფლების მოპოებისათვის ეროვნული ბრძოლის ახალ ასპარეზზედ გადასული ეროვ. დემოკრატიულ პარტიას. ამ მიზნისათვის მოქმედებასა და ბრძოლაში დაპყარვა პარტიამ, მის წევრთა და თანამგრძობთა დიდი უმრავლესობა და განსაკუთრებით ხელმძღვანელთა თითქმის მთელი შემადგენლობა: 1924 წლის ეროვნული აჯანყების სამზადისის ხანებში, გმიარულის საკვილით მოიხადა მამულიშვილიური ვალი, პარტიის თავმჯდომარის ნოადგილემ კონსტანტინე აფხაზმა.

25 წლის წინ გარდაიცვალა მესამოციანთა წლების დასიდან, პარტიის ხელმძღვანელთა შორის უხუცესი, ცნობილი ეროვნულ - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე.

ათიოდ წლის წინ გარდაიცვალა პარტიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი გვინავა. რომელმაც მთელი სიცოცხლე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის დაცვა შეაღწია. ხუთიოდ წლის წინ უღროოდ დავკარგეთ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, პარტიის თავმჯდომარე დიდიან დარასუბისა, მისი ბელადი და მეთაური, დიდი ქართული ბუნებისა და ღრმა შეფენების ადამიანი, სპირიტონ კედია. ათი წლის წინად გარდაიცვალა უცხოეთში, 1924 წლის ეროვნული აჯანყების ხანაში, მებრძოლი პარტიის ნათავარი კომიტეტის თავმჯდომარე შალვა ამირჯგები, რომელმაც ღირსეულად შეასრულა მასზედ დაკისრებული ეროვნული მოვალეობა. იმაზე წინ, უცხოეთშივე გარდაიცვალა მეთოხმოციანთა წლების ეროვნულ მოღვაწეთა წრიდან გამოსული, ყოფილი სენატორი, პარტიის პარტიული ბიუროს თავმჯდომარე ივ. ზურაბიშვილი. კიდევ უფრო ადრე დაგვკარგეთ დიდი მრეწველი და საზოგადო მოღვაწე, ერთხანად პარტიის საზღვარ-გარეთელი ბიუროს თავმჯდომარე იოსებ დადიანი. უკანასკნელ წლებში გარდაიცვალნენ ილუქვაკვაძის ეროვნული დასის წარმომადგენელი, ერ. დემოკრატიული მიმართულების ფრიად თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი ექ. გ. ლაშხაშიძე და გ. ყურული. უკანასკნელი მათგანი თმის ხანებში, საომარ ასპარეზზედ დაიღუპა ჩვენი პარტიის უცხოეთის ორგანიზაციის შემადგენლობის ერთი მესამედი; მათ თავი დასდეს სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ბედი, ისევე როგორც საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ, უღომბელი აღმოჩნდა, უკანასკნელთა უბედობისა და ჩაგვრის შვეტოქაში ჩასახული, ერ. დემოკრატიული პარტიისადმი: საგანგებოთა შერჩეული, ჯერ კიდევ დაუძლეველი ავადმყოფობით, უეცრად წააქცია, დღემდე ძლიერი და ჯანსაღი სულისა და სხეულის მქონე, პარტიის უკანასკნელი ბელადი— მეთაური, თავმჯდომარე და ხელმძღვანელი ალექსანდრე ასათიანი, და ამით ძნელად გამოსასწორებელი ზიანი მიაყენა ბრძოლის უკანასკნელ გარდამწყვეტ ხანაში შესულ პარტიისა და ერს.

გაჩერდა გული, სამშობლოსათვის რომ სძვგრდა; აღმოხდა სული, სამშობლოს უბედობით რომ იტანჯებოდა; დაღუშდა ბავჯ სამშობლოს იღუმბლის ხმით რომ ჟგალობდა; მოკვდა საღი გონება, ერისთვის რომ შეუფერებლად ამჯოგნებდა და ფიქრობდა; დაიხუჭა სამშობლოსაკენ განუწყვეტილი ცქერით დაღლილი თვალები; მესწყდა მჯგისცემა და გაცოცხლებულ ხულიდან გავარდა დაუშრობელი ქართული კალამი, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე, თეთრი პერგამენტზე, შვე ცრემლებს რომ აფრქვევდა სამშობლოსა და ერისათვის.

ღუთისა და ბუნებისაგან ვეთილშობილი, მაღალი სულით და გონებით ნიჭითა და უნარით, საღი ფაქოზი ზნეობითა და გრძნობით, ფიზიკური ჯანსაღობით უხეად დაჯილდოებულნი, მშობელი მიწისაგან აღზრდი-

ლი, შვილი ქართველი ერის ხანგრძლივი სულიერი წერსულის. ის იმ იშვიათ ქართველთაგანი იყო, რომელნიც სისრულით ჩასწვდებიან და განიცდიან მშობელი ერის გულთნადებს, მისი ქირითა და ღმინით სტოცხლობენ მხოლოდ და რომელთაც უფლება აქვსთ მშობელი ქვეყნისა და ხალხის სახელით ილაპარაკონ და ერს წარუძღვნენ.

ის სულიერი შვილის-შვილი იყო ქართული ცხოვრების, მესამოციანთა დიდ ეროვნულ მოღვაწეთა დასის. აღზად ამიტომაც იყო, რომ მისი დროის უფროსმა ეროვნულ-პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, თბილისის სამოქმედო ასპარეზზედ გამოჩენილ ჯერ კიდევ ფრიად ახალგაზრდას, ჩაბარეს და მიანდეს ისეთი დიდი საპასუხისმგებლო საქმე, როგორიც იყო დიდი ილიას მიერ მოცემული ეროვნულ იდეებისათვის ორგანიზაციული წყობის შექმნა, ერ. დემოკრატიული პარტიის დაფუძნება-დაარსებით. მისადმი მინდობილ ამ დიდ მისიას ის ჩინებულად ასრულებს სხვებთან ერთად: ძველად „ივერიის“ წრიდან დაჩენილ ბნოეან მოღვაწეთა, ყოფილი „კლდის“ ჯგუფისა, თბილისის „საქართველოსა“ და ქუთაისის „სამშობლოს“ ორგანიზაციული შემოკრებილი ქართველ ინტელიგენტთა ფენებთან მოწვეულ პირველ კონფერენციასზე თბილისში 1917 წელს თბათვეში. გარკვეულ იდეურ საფუძვლებზედ ფუძნდება და ორგანიზაციულ ფორმას ღებულობს საქ. ერ. დემოკრატიული პარტია. აღექვანდრე ამათიანი თან დაპყვა, მისი ახლო თანამშრომლობით დაარსებულ პარტიას, როგორც ნიჭიერი და უნარიანი ორგანიზატორი. ადვილი საქმე არ იყო სხვა და სხვა ერთი მეთრისადმი უცნობი წრეებისაგან, ისეთი ფართო მამტაბით დაარსებული პოლიტიკური პარტიისათვის ორგანიზაციული წყობის გამომუშავება და დამყარება. ის ამ დარეში იშვიათ ნიქსა და უნარს იჩენს. პირველ კონფერენციასზედვე პარტიის თავმჯდომარის ამხანავად არჩეული, მისი ზრუნვის მთავარ საგნად იხდის ორგანიზაციულ საქმიანობას. მას შეგნებული აქვს, რომ დიდისა და ძლიერი იდეის გამარჯვების მთავარი საწინდარია ძლიერი ორგანიზაცია. პარტიის პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად ის ხელში იღებს პარტიის მთავარი ორგანო „საქართველო“-ს ორგანიზაციასა და ფინანსიურ მხარესაც. ამ ორგანოს მნიშვნელოვან ფინანსიურ წყაროს აღმოუჩენს და უზრუნველჰყოფს მის ყოველდღიურ რეგულიარულ განოცემას. ამ ხანებში საქართველოში ქალაქის ნაკლებობის გამო ხიფათში ვარდება არა თუ „საქართველოს“, არამედ სხვა პოლიტიკური ორგანოების, ისტორიულ და მეცნიერულ დარგების გამოცემლობაც მთლიანად. ის ახერხებს ბანკების სამულოებით, დიდი ფინანსიური ოპერაციის გაკეთებით, ფინანსდიდნიდან დიდძალი ქალაქის შემოტანას, რაც საშუალებას აძლევს ქართულ გამოცემულს, ბეჭდვითი სიტყვის გაგრძელებისას. მის მიერვე ჩატარებული ფინანსიური ოპერაციების წყალობით, პარტია იძენს რეჟსულ ყოველდღიურ გაზეთს „გრუზიას“, მთელი მისი ქონებით; ყაღელობს თბილისში არსებულ ყველაზედ დიდ ქართულ-რუსულ სტამბას. ამგვარად მატერიალურად მომარგებულ პარტიას, ხლთი ბეჭდვითი ორგანო აქვს: ყოველდღიური გაზეთი „საქართველო“, „გრუზია“, ორკვირიული

„სასოფლო-სამეურნეო უტურნალი“, ახალგაზრდათა პერიოდული უტურნალი „ახალი ძალა“ და ქუთაისში ყოველდღიური გაზეთი „სამშობლო“ და შემდეგ „ჩვენი ქვეყანა“.

ალექსანდრე ასათიანის მოქმედების ასპარეზი არ ისაზღვრება ერთ დემოკრატიული პარტიის ფარგლებში. ის ქართულ საზოგადოებრივ აზრში გადადის და აქ მისი პიროვნება საზოგადო დიდი მოღვაწის სახით გვევლინება. ახლად განთავისუფლებულ და აღდგენილ სახელმწიფოში, იწყება დიდი მეცნიერულ, კულტურული, ეკონომიური, სასოფლო-სამეურნეო საქალაქო მეურნეობისა და ფინანსური დარგების აღდგენა და აღმშენებლობა. ალ. ასათიანი ახალგაზრდა, საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ღრმა მცოდნე; თეორიულად, ეკონომიურ და ეფლენბრივ დარგებში ფრიად განსწავლული, მისთვის ჩვეულებრივის თაოსნობითა და უნერგიით ებმება ქართული ცხოვრების ამ დარგებში და მნიშვნელოვან კვალსაც აჩენს. საქართველოს დედა-ქალაქში არსდებთან: სასოფლო-სამეურნეო პალატა“, „წერილ ხელოსანთა კავშირი“ და „ვაჭარ-მრეწველთა პალატა“, რომლებშიაც თავს იყრიან და ერთიანდებიან ამ დარგებში ძველთაგან არსებულნი, თუ ახლად დაარსებულნი საზოგადოებები, ამქრები თუ კავშირები. მათთან ერთად არსდებთან ამ დარგებისათვის ქონებრივად ხელშემწყობი საბანკო დაწესებულებები.

ალ. ასათიანი ყველა ამ საქმეების უშუალო მონაწილეა, ზოგან წამომწყები და თაოსანი, ზოგან უახლოესი თანამშრომელი და-დასახული გეგმების პრაქტიკულ - ორგანიზაციულად განმახორციელებელი. ამ დარგების მეთაურნი და მათი თანამშრომელნი მისი პოლიტიკური პარტიისა და მიმართულების თვალსაჩინო წევრნი და თანამშრომელნი არიან. ალ. ასათიანიც, ბუნებრივად, მის წრესა და საზოგადოებაში გრძნობს თავს და შეუშინველად ერთსა და იმავე ფარგლებში ათავსებს მის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი უროვნულ სოციალურ - ეკონომიური და პოლიტიკური მოფლმხედველობის მიხედვით ალექსანდრეს სწამდა, რომ ამ სასოფლო - სამეურნეო საქალაქო სავაჭრო - სამრეწველო და საფინანსო დარგების დაარსება - დაწესება, მყარ ფესვებს და საფუძვლებს უქმნიდა ახლად აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოს, მისი მთავარი ზრუნვის საგანსა და მისი სოცოცხლის მიზანს რომ შეადგენდა.

ალ. ასათიანი თვალსაჩინო წევრია საქართველოს უროვნული საბჭოსი, პარლამენტის და შემდეგ დამფუძნებელი კრებისა, შესაფერო საქართველო და საქართველოს ისტორიული ცხოვრების შესწავლა - დაკვირვებიდან შეთავისებული პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, გონიერი, დინჯი და დარბაისელი. ის ამ უკანასკნელი დაწესებულებების ფინანსიური კომისიის წევრია. ეკონომიური და ფინანსიური საკითხების გარჩევის დროს ის არის პარტიის „პორტპაროლი“. მისი გამოხატვები და სიტყვები დამუშავებული და დაურღვეველ ფაქტებზედ დამყარებული, დადებითი ხასიათისა და დინჯი ტონით, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მის ნომხრეთა და მოწინაღმდეგეთა ბანაკშიაც. ჩვენ-

მა უბედობამ ქართული სახელმწიფოს არსებობას წითელი სისხლის წერტილი დაუსვა. აქვე შესწავლა ამ უთუოდ მონხვალ დიდი სახელმწიფო კაცის სახელმწიფოებრივი კარუყრაც.

აღ. ასათიანი იყო ერ. დემოკრატიული პარტიის არა მხოლოდ ორგანიზატორი, არამედ მისი უსათუოდ მთავარი იდეოლოგიც: პარტიის კონფერენციებზე მის მიერ წაკითხული სოციალურ - ეკონომიური ხასიათის მოხსენებები იყო ფრიად მნიშვნელოვანი და ახლად დაარსებულ სახელმწიფოებრივი პარტიისათვის მამართლებლისა და გეზის მიმცემი. მის კალამს ეკუთვნის ჩვენი ერის დამოუკიდებლობის ხანაში გამოცემული „თვითმართვლობის საკითხი საქართველოში“, მუშათა საკითხი საქართველოში“, და „მუშის საკითხი საქართველოში“. უკანასკნელი შრომა დღესაც მიღებულია ქართული უნივერსიტეტის ეკონომიური დარგის სტუდენტთა სახელმძღვანელოდ. მისი მუდმივი შესწავლის მთავარი საგანი იყო ილია ჭავჭავაძის „მესამოციანთა და მეოთხმოციანთა წლები“ ნაციონალური იდეოლოგია და მოღვაწეობა. პირველის გაშლა - გავრცელება, მეორის მიუღვამელი დაფასება. ეს იყო მისი აზროვნების თესლა და ძირები: მათი გამოცოცხლება და თანამედროვე ცხოვრებასთან მათი შეთვისება იყო მისი ეროვნული იდეოლოგიის მთავარი ნიშანდობლივი თვისება. „მესამოციან - მეოთხმოციანთა“ ეროვნულ მოაზროვნება და მოღვაწეობა შემკვიდრედ მიჩნდა მას მისი თავი და ერ. დემ. პარტია. უცხოეთში მის მიერ გამოცემული პირველი სტუდენტური წიგნი „ძველი დაახალი მექვიდრობა“ ზემოთ აღნიშნულს მიზანს ემსახურებოდა უმთავრესად. მისივე კალამს ეკუთვნის ყუხთშივე გამოცემული „ქართული ეროვნული პოლიტიკის ძველი და ახალი გზები“, იმავე მიზნითა და გაშუქებით დაწერილი.

აღ. ასათიანი იყო უთუოდ ღრმა, ნაყოფიერი მოაზროვნე და ნიჭიერი მწერალი. ჩვენი ემგრაციის 33 წლიან ხანაში; არც ერთი მნიშვნელოვანი უბოჭა არ გამოჰპარვია, რომ აქტუალურ ეროვნულ - პოლიტიკურ პრობლემების შესახებ, მისი აზროვნებისა და ფიქრის ნაყოფი მოხსენების სახით ემგრაციის ფართო წრეების წინაშე არ გამოეტანა და საზოგადოების მსჯელობის საგნად არ გაეხადა; მდიდარი შინაარსითა და სერიოზულად დამუშავებული, მისი მოხსენებები ერ. დემოკრატიული პარტიის გეზსა და მიმართულებას ანეღანებდა აქტუალური პრობლემებისადმი და ქართული საზოგადოების მიერ შესაფერ დაფასებასაც პოულობდა.

დიდი ომის წინ, ხუთმეტე წლის მანძილზე, ამ სტრიქონების დამწერის უახლოესი თანამშრომლობით, ის სცემდა პარტიის პერიოდულ ორგანო „სამშობლოს“, რომელშიდაც შერჩეული თანამშრომლების დახმარებით, დამუშავებული და გამოქვეყნებული იყო, ჩვენი ქვეყნისა და ერისათვის საჭირო და მნიშვნელოვანი პრობლემები და საკითხები. ამ გამოცემის მთავარი სულის ჩამდგმელი და ხერხემალი მხოლოდ ის იყო. აღ. ასათიანი იყო პირველი თანამშრომელი და პოლიტიკური გეზის მიმცემი, დიდი ომის შემდეგ გამოცემული ეროვნულ - პოლიტიკის ორგანო „ივერია“-ში, იგივე იყო დიდი ომის წინ არსებული რუსეთ-

ის მიერ დაჩაგრულ ერთა ორგანო „პრომეთე“-ის ერთ-ერთი მთავარია თანამშრომელი. ყველა ამ გამოცემებში გამოქვეყნებული მისი წერილები უდაოდ ქართული ეჭრნალისტური მწერლობის ღირსეულ ნიმუშებად დარჩებიან.

რა ადგილი ეჭირა და როგორი როლი ჰქონდა ალ. ასათიანს, ქართულ პრაქტიკულ პოლიტიკურსა და ეროვნულ მოძრაობაში: ქართველი ერის დამაჩვენებისა და საქართველოს ოკუპაციის პირველი დღიდანვე, თანახმად ერ. - დემოკრატიული პარტიის ნათელი კომიტეტის, მათუქში გამართული სხდომის დადგენილებისა, ის სხვებთან ერთად საქართველოში იჩიება და ეროვნული წინაღმდეგობისა და ბრძოლისათვის პოლიტიკურ და სამხედრო ძალების დარაზმისათვის მუშაობს. დამოუკიდებლობის ხანაში ოპოზიციული როლის მქონე პარტია, გაბედულად ბრძოლის პოზიციას იკავებს გაბატონებული უცხო ძალის მიმართ დაბეჭობილ ერს ჭეულის ჩამდგმელად უცვლილება და ნაციონალურ-განმანათლებლებელი ბრძოლის შესყურად გამოდის. პარტიას ბუნებრივად შეგნებული აქვს, რომ ამ ბრძოლის წარმოებისათვის აუცილებელია ქართულ პოლიტიკურ პარტიათა მტკიცე ერთობა. სპ. კედიას, ალ. ასათიანის და ერ. რევილიანის თანხმობით უწყობა მათი შეთანხმება და „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შედგენა-დაფუძნება. ეს კომიტეტი ხელში იღებს ეროვნული ბრძოლის ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობას. ალ. ასათიანი თვალსაჩინო როლს თამაშობს ამ საქმიანობაში: მისი ინიციატივით უწყობა სამხედრო კომიტეტი და ცენტრსა დაპროვინციებში, აჯანყებისათვის საქმრო და მესაფერი, საიდუმლო ორგანიზაციები. გენუის კონფერენციის წინა ხანებში, ბოლშევიკური მთავრობა აბატამრებს ქართული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს. ისტორიული მეტეხის კედლებში თავს იყრის ქართული ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. საქართველოს სხვა და სხვა კლთებში ადგილობრივი ხასიათის აჯანყებები იწყება. გენუის კონფერენციის საყურადღებოდ თბილისსა და პროვინციის ქალაქებში ეროვნული დემონსტრაციები იმართება. ამას მოჰყვება მასიური დაქერები. სუსტდება და ინერგვა ახლად შექმნილი ფარული პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციები. ალ. ასათიანი ციხის საავადმყოფოში ნათურა-რაცები, საში დღის შემდეგ, ახერხებს გაქცევას. „საგანგებო კომისიის“ მიერ გააფთრებული მისი ძეხნის მიუხედავად, ის ახერხებს თბილისში ორიოდ თვით დამალვას, ჩავარდნილი ორგანიზაციების ხელახლად აღდგენას; ჩამოივლის დასაფლავ საქართველოს. იქაც აღადგენს ბრძოლისათვის საქმრო პოლიტიკურსა და სამხედრო ორგანიზაციებს. ამის შემდეგ საზღვარგარეთ გამოდის, ადგილობრივი მდგომარეობის გამო-სატანად და საერთაშორისო სიტუაციის გასაცნობად.

1924 წ. აჯანყებამ იფეთქა და ერთ ღენერალთან ქრთად ისიც საქართველოსკენ მიემართება საგანგებო დავალებებით. მოკლე ხანში ჩაქრობილი აჯანყების მეთაურნი და მონაწილენი სტამბოლში ხედებიან მას. აჯანყების სწრაფად ჩაქრობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ქა-

როგორც ერთ მართო დარჩა დიდი მტრის წინაშე კავკასიის არეში.

აღ. ასათიანი ქართული პოლიტიკის აქტუალურ მიზნად ისახავს კავკასიის ერებისა და ხალხების ერთობის შექმნას, ამ მიზნით აწარმოებს ის მუშაობას და 1924 წელში აარსებს სტამბოლში პირველ კავკასიის კომიტეტს, რომელშიაც შემდეგ მონაწილეობას იღებენ ქართული სხვა პოლიტიკური წრეებიც. ეს კავკასიური ხაზი იყო მისი პრაქტიკული პოლიტიკის მთავარი ნაშობრავებული ძარღვი, და შემთხვევითი არ არის, რომ ის ამ ორი წლის წინ ხელახლად აღდგენილი „კავკასიის დემოკრატული კომიტეტის“ თავმჯდომარის პოსტზედ კვდება. 1926-1927 წლებში სწარმოებდა მუშაობა ქართველთა თათოსნობით, რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების საერთო ფრონტის შესაქმნელად. განსვენებულ გ. გვახეასთან ერთად აღ. ასათიანსაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ამ მიმართულებით „პრომეთეს“ საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში. ის იყო დიდი ომის წინ „პრომეთეს“ პარიზის კლუბის თავმჯდომარე და მისი ერთ - ერთი სულისჩამდგემელი.

მეორე მათგლით ომი დაიწყო. გერმანიამ საბჭოთა რუსეთს ომი გამოუცხადა. ერეხული ემიგრაციის პოლიტიკური მოქმედების დრო დადგა. აღ. ასათიანი მისი მომქმედი ბუნების თანახმად, ამ მოძრაობაში ებმება. ქართულ ლეგიონებში ტრიალებს. მათში ერთგულნი შეგნებისა და მათი პოლიტიკურად მომზადებისათვის დაუღალავად მუშაობს, როგორც უბრალო პროპაგანდისტი. ბრძოლის ასპარეზზედ მომქმედ ლეგიონერებს ფცხ და ფცხ მიჰყვება კავკასიის საზღვრებამდგ. განზრახული ჰქონდა თან შეყოლოდა ნათ კავკასიასა და საქართველოში, იმ მიზნით რომ ახალი ოკუპაციის დროს მოსალოდნელი გაუგებრობანი აღციდნა მისი ხალხისათვის. გერმანიის დამარცხება საზღვარს უღებს მის განზრახვებსა და ოცნებას, რის შემდეგაც საფრანგეთისაკენ მოაშურეს, ქართველი ოფიცრების თანხლებით, რათა აქ მდგარი ქართული ნაწილების უსპანეთში გადაყვანა მოახერხოს და იხსნას ისინი რუსეთისათვის მოსალოდნელი ჩაბარებისაგან. მოვლენათა სწრაფი განვითარება მას საშუალებას არ აძლევს ამ მიზნის განხორციელებისას.

დამარცხების შემდეგ საფრანგეთის ხელისუფლება გაუგებრობით აპატამრებს მას როგორც გერმანელებთან თანამშრომელს. აქ ის გვევლინება როგორც გაბედული და პასუხისმგებელი პოლიტიკური პიროვნება; არავის ზურგის უკან არ იმალება: თვით გამოდის პირადათ, როგორც პოლიტიკური მეთაური და პასუხისმგებელი. ამართლებს მისი და საერთოდ ქართველების გერმანელებთან თანამშრომლობას, რომლის მიზანი იყო სწოლოდ საქართველოს განთავისუფლება.

როგორც იყო აღ. ასათიანის პოლიტიკური ტაქტი, ქართულ პოლიტიკურ წრეებისადმი დამოკიდებულების სფეროში? ქართულ პოლიტიკურ ძალთა ერთობის აუცილებლობა, ძირითადი და საფუძველი მისი ნაცონალური - პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების. ჩვენი ემიგრაციის ხანგრძლივი ებოქის მანძილზე, ქართული პოლიტიკის შინაური თუ საგარეო საკითხების გამო, ხშირად დარღვეულა ერთგულ - პოლიტიკურ ძალთა ერთობა, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელი

წლების განმავლობაშიც. როგორც წარსულში, ისევე ამ უკანასკნელ ხანებში, მისი ზრუნვის მთავარი საგანი იყო დარღვეული ერთობის კვლავ აღდგენა, მის და მისი პარტიის მიერ საღათ და სწორათ მიჩნეული ერთეული პრინციპებისა და პოზიციის ირგვლივ. უმნიშვნელო ხასიათის პატარა საკითხებში დათმობა მას ეხერხებოდა, და ხშირად საჭიროდაც მიაჩნდა, მაგრამ მოჩვენებითი ერთობის აღდგენისათვის, იმას არასოდეს შეუწირავს მისი უმთავრესი იდეებისა და მიზნისადმი განუყრელად დაქვემდებარებული და დაკავშირებული ძირითადი პრინციპები. წამოჭრილ პრობლემებსა და საკითხებს, დიდა და სპეტაკი მიზნისაკენ მიმავალ გზებსა და საშუალებებს ის უნებობსა და მორალის საზომით არჩევდა და აფასებდა. სულიერი „პრ-მატი“ იყო მისი პოლიტიკური მოქმედებისათვის მიმართულების მიმცემი. ეს იყო მისი მთავარი ძალა. მისი პირადი და საზოგადოებრივი სიცოცხლე და ცხოვრება ამას ადასტურებს. ქონებრივად ღარიბი, სულიერად მდიდარი, მივიდა ის უცხოეთში გათხრილი საფლავის წინ. მის მიერ, დასუსტებული, დატანჯული და ძალით მოკლული სხეული შიდ ჩაასვენა, სიმძიმისაგან განტვირთული, და მიზნის მიღწევის ლოდინში განთავისუფლებული დაუღალავი სული შეუერთა იმ ქართველთა ღიღსა და უკვდავ სულიერ ოჯახს, რომლებმაც უკვდავ ჰყვეს მათი მშობელი ქვეყანა და ერი და მათი სახელიც.

მისი სახით ქართველმა ერმა, კავკასიელმა და მათ ბუნდში მყოფმა ერებმა დაჰკარგეს ერთეული თავისუფლებისათვის დაუღალავი და შეუღრეველი იშვიათი მებრძოლი.

როგორი იყო აღქმანდრე როგორც ადამიანი მის კერძო ცხოვრებაში. ქართული ბუნებით უკლებლივ აღჭურვილი, იყო რაინდი, გონიერებასთან ერთად მეტად მგრძნობიარე, კეთილი და მარტივი; დიდთან დიდი, პატარასთან პატარა. ყველასთან შემთვისებელი, კარგი მეგობარი, გაჭირვებულთა და დაგრდომილთა გვერდით მყოფი, მათი ქირავასის შემსუბუქებელი და უაღრესად „პურ-ღვინიანი“. მისთვის ქართველთა ყოველი წრის ოჯახის კარები ღია იყო. ასევე ღია იყო ყველასათვის მისი ღარიბი ბინისა და მდიდარი გულის კარიც. მას ყოველ წრეში ყავდა მეგობრები და მოყვარენი. ამიტომაც იყო რომ, ქართულ დროშაში შეხვეულსა და ყველა წრეებისაგან მიძღვნილი ვარდ-ყვავილებით შემოსილს მის კუბოს, ქართველთა საერთო ცრემლებს დაეფრქვა და უცბო საფლავში ქართველთა თბილი სიყვარულის გრძნობები ჩაჰყვა.

ეროვ. დემოკრატიული პარტიისა და მიმართულების იდეური ფესვები „ქართლის ცხოვრების“ შორეული ღრმა წარსულიდან მოდიან. წინა საუკუნეში მათი ამაცოცხლებელი და ერის სულიერ საფუძვლად ღამლები იყო დიდი ილია და მისი სახელოვანი დასი. მათ მიერ გადაზღვრებული ნაციონალური თავისუფლების, სახელმწიფოებრივი სულიერი და ქონებრივი აღორძინების საპროგრამო იდეები, რომელიც საფუძვლად გაიხადა შემდეგ დაარსებულმა ერ. დემოკრატიულმა პარტიამ.



ტასმ, იმდენადვე მარადულია, რამდენადაც თვით ქართველი უნდა თუ
 კი ისინი არ ჩამორჩებიან და ფუნდაფუნ მიჰყვებიან უკანასკნელისა და
 საერთოდ ქვეყნიერების წინსვლასა და პროგრესს; ამ მიმართულებების
 მატარებელ და მეთაურ აღამიანთა სიცოცხლე კი ხანდაზმულია და ბუ-
 ნების კანონით განსაზღვრული. ამ იდეებისათვის მომუშავე და მებრ-
 ძოლთა რამოდენიმე თაობამ გააზიარა უკვე ბუნების მიერ მათდანი მის-
 ჯილი ხვედრი. ამით კიდევ უფრო გაიზარდა, გაძლიერდა და ამოღლდა
 ჩვენი მაცოცხლებელი უკვდავი იდეა. დიდ წარსულზე და სულიერ
 მემკვიდრეობაზე დაყრდნობილი, ეს მარადიული იდეები, ბუნებრივ-
 ად ახალ და მომავალ თაობას მიიზიდავენ და ღვთიით ახალ მესვეურთა
 და მებრძოლთა დასი გაუჩნდება ამ მიმართულებას. ამის უდაო საწინ-
 დარია ნათი უხოველმყოფლობა.

ელ. პატარიძე

მ რ ი ს გ უ შ ა გ ი

(აღექსანდრე ასათიანის ხსოვნისათვის)

ჯერა მოსდგომია ჩვენს თაობასაც! სულიერი განცდანი საცხოურე-
 ბელ წყაროთა დაკნინებით აჩქარებენ აყრას ამა სოფლიდან იმ ასაკში
 ნყოფთაც, რომელთაც ჩვეულსა და რიგიან პირობებში შეეძლოთ კიდ-
 ევ გაეხანგრძლივებინათ სიცოცხლის დღენი... თვითუღო ქართველ მე-
 ბრძოლ ემიგრანტს ბოლშევიკები ჰპაჩავენ სულ ცოტა, ათ წელიწადს:
 ესეც ანგარიშში ჩისაგდები გახდება მიგების დღეს!

აწ განსვენებული აღექსანდრე ასათიანი არ იყო სასიკვდილოთ
 განმზღებული და განწირული: მაგარი აგებულობისა, ჯანითა და ღო-
 ნით საესე, ის ამხანაგთა შორის მიჩნეული იყო როგორც „სპორტსმენი“.

ჩვენ რიგებიდან უღროდ გასული აღექსანდრე ასათიანი იყო
 არამცთუ თვალსაჩინო წევრი ეროვნულ - დემოკრატიული პარტიისა,
 როგორც ასეთათ აღნიშნული იყო ერთს ქართულ გამოცემაში, ის იყო
 პარტიის ერთერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი, ამსახველი და
 წამწევი ყოველი მისი წამოწყებისა და პარტიის დაარსების დღიდან მი-
 სი მთავარი კომიტეტის აღმადლებელი წევრი, ბევრ საკითხებში კი
 ხელმძღვანელი.

საფუძვლიანად განსწავლული (მოსკოვის კომერციული ინსტიტუ-
 ტი და იურიდიული ფაკულტეტი პეტერბურგის უნივერსიტეტში), ასა-
 თიანი ჩაეწერა თბილისის სასამართლო პალატის ნაფიცვექალთა კოლე-
 გიაში, მაგრამ მალე ისეთ გარემოებებმა იჩინეს თავი, რომ უნდა მიე-
 ტოვებინა ადვოკატურა და შესდგომიდა პოლიტიკურ მუშაობას. ამა-
 სობაში მოწვეულ იქმნა ერევნულ - დემოკრატიული პარტიის დამფუძ-
 ნებელი კრება. ყრილობის მუშაობისას გამოიჩინა ასათიანის მიდრეკი-
 ლება და დიდი ციადნა საფინანსო და სავაჭრო - სამოწველო საკითხ-
 ებში, რისა გამო ის ჩვენ მიერ **tacito-consenso** აღიარებულ

იქნა ამ პრობლემების სტეციალისტათა და გამძლოლათ შესატყვის წრეებში, სადაც მან მალევე მოაპოვა პარტიო და ყურადღება, ნდობა და შეთვისება, ისე რომ ჩვენი პარტიისა და ამ წრეთა ურთიერთობა ხდებოდა მხოლოდ ალექსანდრე ასათიანის მეშვეობითა და მუყათობით.

განსვენებული არ იყო ორატორი, მას უფრო ეხერხებოდა წერა. საჯარო გამოსვლებში — იქნებოდა ეს დამფუძნებელი კრება, სხვა რაიმე ყალბობა, თუ საპროპაგანდო მიტინგი, — ის ერიდებოდა მსმენელთა გრძობებზე ზეგავლენას, საგნის ტერმინოლოგიით მფარავლავდა გამოთქმებსა და სიტყვაძნეობით ისაზღვრებოდა, ხოლო ყოველი ნისა სიტყვა იყო შერჩეული საგნის მთლიანი ამოწმურვა.

ალექსანდრე ასათიანის თავდაპირველი მიწრაფება და ღირსება აღმოჩნდა მის სამსახურში ტრისა და სამშობლოსათვის. ჯერ ისევე ქუთაისის რეალსაწავლებელში მოწაფეობასას მან ახალგაზრდული გატაცებით შეიგზნა ბრძოლის აუცილებლობა და საქაროება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ხოლო ბრძოლის მოცებთან წარმართვა მან შეუზავა სოციალისტურ ამოცანებს და მიცხრო სოციალისტურ პარტიას. პეტერბურგში სტუდენტობისას მან უარყო სოციალისტური ჰაზროვნება და დაუახლოვდა იმ ქართულ ჯგუფს, რომელმაც საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის მეთოდები იღია ქვეყნადის იდეოლოგიაზე დაყრდნო.

ასე და ამგვარად შემტკიცებული ასათიანი დაბრუნდა სამშობლოში. იმ ხანებში უკვე ისახებოდა პოლიტიკურ ცვლილებათა შესაძლებლობა. მოსალოდნელი ამბები მოითხოვდნენ მზნესა, ურყევსა, უდრეკსა და დაუღალავ მოქმედებას ორგანიზაციული წესით და უწინარეს ყოვლისა ქართული გეზით, აი ამ დროს იშვა უროვნულ — დემოკრატიული პარტია, რომლის თანშეებულ მიზანს შეადგენდა ქართული პრიორიტეტის აღდგენა. ალექსანდრე ასათიანი დინჯათა და მისთვის ჩვეული სიღარბისლით ჩაება ამ მუშაობაში, და უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციით შეკავშირებულ პარტიულ ჯგუფების შექმნა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მომეტებულ ნაწილად მისი ნაღვაწლია.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე დროს ასათიანის ნიქი ფართოთ გაიშალა. მისი საქმიანობა — უწინარი და რეცლანას აცდენილი — შესაფერისად დაფაქებულ იქმნა არა მხოლოდ მის პარტიულ წრეებში, არამედ სხვებთაგანაც და თვით მის პოლიტიკურ მოწინაღმდეგეთა შორისაც. მის პროგრამულ სიტყვებსა და მოხსენებებს, საგნის დრმა ანალიზით გამაგრებულთ, საქართველოს ანნალებში საბატო ადგილი მიეკუთვნებათ.

გარეშე პოლიტიკისა ალექსანდრე ასათიანი მზურფალე მონაწილეობას იღებდა ქართულ საეკლესიო საკითხებშიაც, როცა მოიწია ეამი საკათალიკოზო ეკლესიის მიტაცებულ სამკვიდრებელსა პატრონის ხელში დაბრუნებისა — იყო ეს უძრავი თუ მოძრავი ქონება — ასეთი უმძიმესი საქმე იმ აბობოქრებულ დროს ივალეს და უშწავლოდ შესარულეს ალექსანდრე ასათიანსა და დათა ვაჩნაძემ. განსვენებულ ალექსანდრეს — ღმთაშობაწმუნესა და ეკლესიურათ განწყობილს — ისე აფასებდა ქუ-

თათელი ნაზარა — მცხოვანი მღვდელმთავარი, მოწამებრივით მოკლული ბოლშევიკებისაგან —, რომ მან შეაძლია მას საეკლესიო სამსახური აღმატებულ ხარისხში.

გასაბჭოებულსა და გარუსებულ საქართველოდან ალექსანდრე ასათიანი პარტიის მთავარი კომიტეტის დავალებით წამოვიდა. მან მოახერხა მიხეილის საეპარქიოლოში დაწოლა, სადაც მას მივლინებული „ჩეკის“ აგენტები თვალს აჩუქებდნენ. იქიდან მისი გაქცევა ლსენდარულ ეპოპებს უდროს.

ემიგრაციაში მისი მოღვაწეობა დაუთმობელი ანტიკომუნისტური და ანტირუსული გეზით მიიმართებოდა. სპირიტონ კედის დასწვლუბისა გამო ასათიანს უნდა ბელოლო და ეტვირთა პარტიის მეთაურობა და ამას რასაკვირველია არავინ გამოედავა. მის რედაქტორობით ნახეტი მოზრდილი ტანის ეურნალი „სამშობლო“ უნდა ჩაითვალოს ემიგრაციის ერთერთ საუკეთესო გამოცემაღ. ესევე უნდა ითქვას მის დაკვირვებულ წიგნზე — „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“.

მეორე ომის წლებში ალექსანდრე ასათიანი გაბეღულათა და მხნედ ამოუდგა გერმანიაში ყველა იმით, ვინც თაყვანით შეუღდნენ ბრძოლას საქართველოს განთავისუფლებისათვის. ახალგაზრდებსაც ანცივიტრება და მისი გატაცებული და უშიშარი წეშობა აცოფებულ ომის პირობებში. ცნობილია, რომ ასათიანი კავკასიის მთებსაც მიადგა.

განელებულმა მგზავრობამ და შემდგომ მის თავზედამტყდარ გარემოებებმა, მოსკოვის დაქირავებულმა უბასუხისმგებლო ვიგინდარებმა რომ შემქნეს საფრანგეთში, მოხარეს მისი ჯანმრთელობა. ის უნდა გადასულიყო უსპანიაში და იქ ოთხი წელიწადი იმყოფებოდა დიდს გაქირებებაში. ხასოწარკვეთილებასა და უიმედობას აჩუქებდებოდა. არავინ ელოდა მის უდროთ განსვლას ამა სოფლიდან. მას დაიტკირებს სამშობლოსათვის ბრძოლაგამწევი ქართველობა, საუკუნო იყოს ხსენება მისი!

რ. ინგილო

ქვირვასი თანამეზობლის ხსოვნას

ულმობელ სიკვდილმა ჩვენს ქართულ ეროვნულ რიგებს ძვირფასი მეზობელი გამოაცალა — ალექსანდრე ასათიანი.

მე გავცანი მას თბილისში, 1917 წელს, როდესაც საფუძველს უყრიდით ერ. დემ. პარტიის ორგანიზაციას. ეს იყო პირველი წელიწადი არა სოციალისტურ ქართულ პოლიტიკურ პარტიის დაარსებისა საქართველოში.

განათლებული, 26 წლის ახალგაზრდა ჯან-ლონით საესე, ალექსანდრე მხურვალედ ჩაება მის პოლიტიკურ - საორგანიზაციო საქმიანობაში. მან გამოიჩინა ისეთი განსაკუთრებული ნიჭი და უნარი რომ გახდა ერ. დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი. იმ ხანად, როცა ასეთ სამეთაურო ადგილებს მოსურნე, მომზადებულ პიროვნებათა რიცხვი საკმაოდ ითვლებოდა, ალექსანდრე ასათ-

თიანს ეს ადგილი პარტიის სათავეში სამართლიანად მიეკუთვნებოდა. იგი თავიდანვე, მართლაც, შესანიშნავი ორგანიზატორი აღმოჩნდა. თავისუფლების წლებში დასავლეთ საქართველოში, სადაც მეოცე საუკუნის დასაწყისიდან სოციალისტურ პარტიებმა: სოც-დემ., სოც-ფედ., სოც-რევ., მონობოლიუური მდგომარეობა შეიქმნეს, ალ. ასათიანმა თანამოაზრე მგებობებით გააჩლია მათი რკალი და უძნელეს პირობებში ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი ერ. დემოკრატიულ ორგანიზაციებს ამ მხარეში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლიდან, ალექსანდრე პარლამენტის, შემდეგ დამფუძნებელი კრების წევრად მყოფი, განაგრძობს დაუღალავად მუშაობას პარტიის და მის ც. კომიტეტის პოლიტიკურ - ეკონომიური საფუძვლების გამაყრებისათვის.

მან შეუქმნა შესაფერი აპარატი, გამოუჩინა მუდმივი მატერიალური წყაროები და ორი წლის განმავლობაში გაუჩინა პარტიულ პრესას საკუთარი სტამბა. კომერციულ - იურიდიული განათლება დაემატა მის ინიციატივას საქართველოს ახალ საგაქრო - ფინანსიურ დაწესებულებათა მოწყობაში; სავაჭრო - სამრეწველო საზოგადოება, ც. ბანკი, რომლის გაშვებულთა წრეში გავლენიან როლს თამაშობდა.

ალ. ასათიანის საფუძვლიანი ნაშრომი, „მიწის საკითხი საქართველოში“, გამოცემული სოციალისტური ექსპერიმენტების ხანაში, დაარჩება ისტორიულ დოკუმენტად, როგორც მტკიცე დამკვიდრებული საკუთარების საფუძვლებისა საქართველოში.

როდესაც ნორჩ პარტიის ფენებში დაიწყო რღვევის პროცესი, მან, სხვებთან ერთად დიდი ღვაწლი დასდო დარღვეულ ნაწილების კვლევ ერთ მთლიან ორგანიზმში გამთელებისათვის. 1921 წელს, იანვარში, საერთო კონგრესზე ის დასრულდა განაყოფ ნაწილების საბოლოო შეთანხმებით „საქართველოს დემოკრატიულ პარტიის (გაერთიანებულ ერთ-დემოკრატიულ, რადიკალ-დემ. და უპარტიოთა) სახელით, მაგრამ ამ ისტორიულ აქტს არ ეღირსა თავისი დადებითი შედეგების განაღდება ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

ერთი თვის შემდეგ, თებერვალში, საქართველოს გერაგულად თავს დაესხა ბოლშევიკურ რუსეთის ჯარები. თუ რამდენად მნიშვნელოვანად სთვლიდა მტერიც ამ ანბავს, მოწიშბს მის შენოსვლის დღეებში თბილისის კედლებზე გაკრული რუსულ წითელ შტაბის გარეთის „კრასნი ვოინის“ მსხვილი ასოებით დაბეჭდილი განცხადება:

„რატომ ვეშურებოდით ჩვენ საქართველოსაკენ?“ მის ქვემოთ ჩამოთვლილ მეორე პუნქტში ეწერა: „ქართველ რეაქციონერების გაერთიანების გამო“.

ხელ ახლად დაწყებულ ბრძოლაში შემოსეულ მტრის საქართველოში გაბატონების წინაღმდეგ, ჩვენი პარტია, შობაგარებული გაერთიანებით, ფარული ვაცხარებით შეუდგა აჯანყების სხვა და სხვა გეგმების შედგენას.

1922 წელს, თებერვალში, საქართველოში დაარჩენილ პარტიის ცენტ. კომიტეტის წევრები, თითქმის მთლად დატერილნი, მტრების ცი-

ხეში მოექცნენ. აღ. ასათიანმა ორგანიზატორის ნიჭი აქაც გამოიჩინა. მეტეხის ტუსადნი მან მეტად მოხერხებულ დაშიფრებას წესით გადაბა გარეც მყოფ წევრებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდობასთან.

1921 წ. მომხდარი სვანეთის აჯანყებას, რომელსაც მეთაურობდნენ ჩვენი მიმართულების წევრები, ახლა მიემატა დაწყებული განმანათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით ამ უკანასკნელთან მეტეხიდან შეუწყვეტელი კავშირი გვქონდა, რომლის მთავარი მომწიობი იგივე ასათიანი იყო. გაბედული და უშიშარი ალექსანდრე, გარეგნულად მშვიდი და აუღელვებელი, ვერ ურიგდებოდა მეტეხის კედლებს. მან მოიგონა ბრმა წელის ანთების ტკივილები და მოითხოვა ოპერაციის გაკეთება. დარაჯების თანხლებით გაღმოიყვანეს ცახიდან მიხეილის საავადმყოფოში. ვერ კიდევ შეუხორცებელ იარით, საავადმყოფოს ტანსაცმელში, ალექსანდრე დღისით გაუსხლტა მიჩენილ დარაჯებს და თავს უშველა. მის დასაქერად მთელი ჩეკისტური ორგანიზაცია საქართველოში ფეხზე დადგა. მალულობაშიც მქონდა მასთან შეუწყვეტელი კავშირი. (მე უფრო ადრე არა ჩვეულებრივი შემთხვევით ვიყავი მეტეხიდან ხანილი.) დავატყე რომ ჩეკისტების რყალი უკვე უახლოვდებოდა მის საიდუმლო ბინას თბილისში. შევატყობინე ჩვენს ფარულ კომიტეტს. ვადავწყვეტით ურჩიით ალექსანდრეს საზღვარ გარეც ვახიზენა. ვაცნობე ეს მის უნტროს ძმას. მან მოგვიტანა პასუხი. ჩემს ძმას მეტად უმძიმეს სამშობლოს ამ გასაჭირის დროს მიტოვებდა. საბრძოლველი აქ არის და იქ რა უნდა ვაკეთოთ. მაგრამ ბოლოს იძულებული ვახდა დეტოეებინა მშობელი ქვეყანა, რადგან მას თავს აშკარად წაადგა მოსკოვის ჯალათების ნაგანის ლულა. ალექსანდრეს ემოგრანტულმა თავგადასავალმა და მისმა მამულიშვილურმა მოღვაწეობამ საზღვარ გარეთ ყველა ჩვენ თვალ წინ გაიარა.

მეტ ხანად დიდ გაჭირებაში მყოფი იგი არც ერთ დროს არ სცილდებოდა ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას. მაგრამ ხელში ეჭირა საქართველოსათვის თავგამოდებულ, დამსახურებულ მებრძოლ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დროშა და ამ დროში იგი უდროოდ მიუბარა უცხოეთის მიწას.

და როდესაც დაიწერება უკანასკნელ ნახევარ საუკუნის ქართველ ერის საბედისწერო ბრძოლის ისტორია, რომელთანაც გადაწნილია დიდათ ვადებულ სისხლით ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მოღვაწეობა, ალექსანდრე ასათიანის სახელსაც საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა პანთეონში საპატიო ადგილი მიეკუთვნება.



დავით ვაჩნაძე

სიტყვა თქმული ბ. ზ. მაღალაშვილის მიერ
 ალექსანდრე ასათიანის დასაფლავებისას
 (2 იანვარს 1954 წელს. მიუნხენში.)

მეგობრებო!

კიდევ ერთ დიდ ქართველს ვაბარებთ უცხოეთში გათხრილ ციფსამარეს!

ალექსანდრე ასათიანი ისე ახლო იყო ჩვენთან დაკავშირებული, რომ მისი დაფასება აქ თითქოს არც უნდა გვეჭირდებოდეს. მაგრამ სწორედ ეს სიახლოვე, მეტადრე ემიგრაციის პირობებში ჰქმნის, სხვა პერსპექტივას და ზოგჯერთა სულ ნაკირე და ჟმინიშენლო აღამიანურ სისუსტეს აწვიადებს და ხშირად ნაწილობრივ ჰფარავს პიროვნების დიდ თვისებათ.

ალექსანდრე გამონაკლისი იყო ჩვენს შორის. მისმა უხვად დაჯილდოებულმა და მებრძოლმა ბუნებამ მოსვენება არ იცოდა. ის თვისი მამულისათვის ყველგან და ყოველთვის იბრძოდა, ყოველ პირობებში და ყოველი საშუალებებით; სიტყვით, კალმით, საქმით, საქურვლით.

ალექსანდრე ასათიანი იყო ერთი დიდი იდეოლოგი და ორგანიზატორი საქართველოში იმ დიდი ეროვნული მოძრაობისა, რომელსაც საბირკელად დაედა ილია ქავჭავაძის ეროვნულ - პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც ემსახურებოდა და ემსახურება პოლიტიკური თავისუფლებისა და სოციალური წარმატების საქმეს.

ჩვენს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ იგი გვიმტკიცებდა რომ თუ ქართველ ერს სურვილი და უნარი აქვს თვისი არსებობის განგრძობისა, ეს შეუძლია მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში. ამის გარდა მას სწამდა, რომ საქართველოს სუვერენობის აღდგენა და დაცვა შეუძლებელია ჩვენ კავკასიელ მეზობლებთან მქვირო კავშირის გარეშე, და ეს უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში მათი ნდობა და სიყვარულიც მოიპოვა.

ალექსანდრეს ქართველობის წინაშე დიდი დეაწლი მიუძღვის, რომელიც სხვა დროსა და სხვა ადგილას იქნება აღნიშნული. დღეს კი მინდა აღვნიშნო და მადლობა გადაუხადო მას განსაკუთრებით იმისთვის, რომ იგი უკანასკნელი ომის შემდეგ წინ ეფარა იმ ქართველებს, რომლებიც ომის დროს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ბრძოლა წინააღმდეგ ბოლშევიზმისა, ამ უდიდესი სიცრუისა და ბოროტებისა, დიდ ცოდვად ჩაღთვალეს ქართველებს! ალექსანდრემ, ერთმა კაცმა, თავს იდგა მთელი პასუხის - მეტელობა და დაუმტკიცა დასავლეთს, რომ ქართველები იბრძოდნენ არა სხვა ერთა დაჩაგვრისა და დამონებისათვის, არამედ საკუთარი სამშობლოს განთავისუფლებისათვის რუსეთისაგან და მათ არავითარი დანაშაული არ მიუძღვით კაცობრიობის წინაშე.

განსვენებულს ბევრი ბრძოლა დასჭირდა მისი ორმოცი წლის პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში. მას ბევრი მოპირდაპირე აღმოუჩინდა, მაგრამ არც ერთი პირადი მტერი არა ჰყოლია მის კეთილშობილ ბიროვნებას.

ალექსანდრეს სახელი შევა ქართველი ერის ახალ პანთეონში, ჩვენ დიდებულ წინაპართა გვერდით. მასთან ერთად იქნებიან კოტე აფხაზი, კოტე ანდრონიკაშვილი, ნოე რამიშვილი; კარლო ჩხეიძე, სვიმონ მდივანო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გიორგი მაჩაბელი, შალვა ამირეჯიბი ლეო კერესელიძე, სპირიდონ კეღია, ნოე ჟორდანიას და მრავალი სხვა სახელოვანი მებრძოლი.

ჩემო ალექსანდრე, ჩემო საყვარელო უფროსო ძმაო! შენ არც საქარ თველოში და არც უცხოეთში ცოლ - შვილი არა გყოლია, პირადი ბედნიერება არ განგიცდია და არც ეძებდი მას. ახალგაზრდობიდანვე გატაცებული იყავი ერთი გრძნობით და შრომად ერთ სატრფოს ეტრფოდით. შენი მუღმივი გულის წადილი იყო, რომ:

„შენი ივერი აღსდგეს ძლიერა

— და დადგეს ცრად სხვათ ერთა შორის“.

ულმობელმა ბედმა არ დაგინდო. როგორც მიაშობდი, მარტო შენმა უახლოესმა ნათესაებებმა, ასათიანებმა და გარდაფხაძეებმა თორმეტი მეგობარე შექაირეს სამშობლოს სამი ათეული წლის განმავლობაში. „ულმობელი იყო ბედი ჩემი და ულმობელმა ავად-მყოფობამ, რომელსაც ვერ გაუძღვბს ვერც ერთი ადამიანის სხეული წამაქცია მეო“ - სწერდი უკანასკნელ წერილში შენს მეგობრებს, და მართლაც ამ ავად-მყოფობამ სძლია შენს გაკაყებულს და გაფოლადებულ ბუნებას.

რად გერგო შენ და რად ერგო ჩვენს სამშობლოს ასეთი მწარე ხვედრი. — რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ჩემს სახლს ეწვია დიდი უბედურება, ერთმა მეგობარმა მომწერა, ჩემგან უკვე დიდი ხნიდან დაგიწყებული სიბრძნის სიტყვები საღმრთო წერილისა: „საკვირველი არიან, უფალო, გზანი შენი“. ასეა, ჩემო ალექსანდრე, ჩვენ ვერ განესტყვერეთ სოფლის საიდუმლოებათა ბედის ტრიალს. კვლავ უნდა ვაცოცხლოთ, ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ და ხშირათ ვიტანჯოთ და როდესაც დაჰკრავს ლეკანასკნელი ზარი და გვეწვევა აღსასრული, აი შენებრ სრული სიმშვიდით და განსვენების იმედით უნდა მივანდოთ სურვილი ჩვენი შემოქმედსა ჩვენსას.

შენ დაბადებული და აღზრდილი იყავი იქ:

სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცაშდე ასულნი და მდინარენი ზახლით ზვირთის ზვირთებზედ მსროლელნი; ლესკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი თვალ გადუწვდენილნი. სად მონადირე სღვეს ჯიხვა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი. სად ველნი ფურით ზურამუხტნი ნაზადა ამწვანდებიან, მათზე კასკასით წყარონი გახარებულნი მოიბიან; მათ სიკამკამეს ყვავილნი თავდახრით განციფრდებიან; გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან. სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვიცნისა? ერი — ვულადა, პურადი, მებრძოლი შავი ბედისა!

შეთა დროთ ვერა: შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგიუ მხნე, იგიუ მღერალი. მოყვარე თავის მიწისა!..

და აი ამ საქართველოს და შენი საყვარელი კლთისა ლეჩქანდრე-
ეთის კვლავ ნახვა აღარ გეღირსა. მაგრამ ჩვენ აქ ნყოფთა სურვილია,
შენ ჩაგყოლოდეს სამარხში ჩვენი რწმენა, რომ უპირნათლესად აღასრ-
ულდ ვალი შენი მამულის წინაშე, და რომ ჩვენ ვიდრე ცოცხალვართ,
შენს სახელს არ დაგივიწყებთ, და ქართველი ერთი არაოდეს დაივიწყ-
ებს მას.

ბ. ა. კანტემირის სიტყვა

ალექსანდრე ასათიანი იყო ცნობილი საზოგადო - პოლიტიკური
მოღვაწე არა მარტო ქართული, არამედ საერთოდ კავკასიურ მაშტაბით.
ალ. ასათიანის სიკვდილი არის დიდი დანაკლისი არა მარტო საქართვე-
ლოსთვის, არამედ მთელი კავკასიისათვის. ალ. ასათიანი აღიზარდა სა-
უკეთესო ქართველ პატრიოტთა და კლასიკოსთა იდეებზე, რომელთა
შორის საკმარისია დაეასახელოთ ილია ჭავჭავაძე. ალექსანდრე ეკუთ-
ვნოდა ქართული პოლიტიკური აზროვნების იმ ნაკადს, რომელიც სა-
ქართველოს აყვავება - ბუნდირებას, კავკასიელ ხალხთა ერთობაში და
თანხმობაში ეძიებს. როგორც იდეოლოგი საქართველოს ნაციონალურ
დემოკრატიული პარტიის, ალექსანდრე აწარმოებდა დაუნდობელ
ბრძოლას საქართველოს და კავკასიის დამოუცილებლობის მტერთა წი-
ნაღმდეგ. წყნარი, აუღელვებელი, მუდამ მშვიდი, კოლხიდის ღვიძლი
შვილი ის იბრძოდა ბრძოლას მთებში, და შეზღვევ, აქ ემიგრაციაში - ის
ზეპარაკად შეეწირა ნაციონალურ იდეას.

ჩვენო ძვირფასო მეგობარო და თანამებრძოლო ალექსანდრე! გაბა-
რებთ რა ამ უცნობ მიწას, ჩვენ უნდა განვაცხადოთ, შენი აქ ყოფნა
დროებითია. ჩვენ გეწაის, რომ გავიმარჯვებთ, და როცა ამოვა კავკასი-
ის თავისუფლების მზე, ისინი ვინც მიაღწევენ ამ ბუნდირ დღეს, გადა-
სვენებენ შენს გვანს იქ საქართველოში და მიაბარებენ მშობლიურ
კოლხიდის თბილ და მაღლიან მიწას. შენ ღირსეულად მოიხადე ვალი
სამშობლოს და ერის წინაშე.

მწვიდობით!

მ. სინჯიკაშვილის სიტყვა

წარმოქმული ნევიორკის ქართულ კოლონიის მიერ გამართულ
ალექსანდრე ასათიანის საპატივცემლო კრებაზე.

ალექსანდრე ასათიანი დაიბადა ქ. ქუთაისში 1889 წლის 10 აპრ-
ილს. პირველ დაწყებით სწავლაც აქ მიიღო. მოსკოვის კომერციული
ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა პეტროპოლურში და ჩაი-
რიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე. მისმა შრომის და ღრმა აზროვნების
უნარიმა, თავიდანვე მიიბჭრო პროფესორთა ყურადღება და უნივერსი-

ტეტის დასრულების დროს, იმ დროს მიუღწეველ რუსულ იმპერიაში სახელგანთქმულმა პრაოფესორმა პეტრაჟიციმ წინადადება მისცა, მის ასისტენტად დარჩენილიყო და განეგრძო სამეცნიერო მუშაობა.

მაგრამ ალექსანდრეს მისწრაფება სულ სხვა იყო. მისი სამშობლოს სიყვარულით აღვზნებულნი სული ვერ ეტეოდა დიდ რუსულ იმპერიაში და განსაკუთრებით ვერ ეგუებოდა რუსულ ნებებერ და უდარდელ ცხოვრებას. ამიტომ მან ეს წინადადება უარჰყო. არა ერთხელ მოგვისმენია განსვენებულისაგან, რომ „პეტრაჟიციის წინადადება მე ქართველობაზე ხელის აღებად მივიჩნე. მართალია, შესაძლებლობა მეძლეოდა ბრწყინვალე კარიერა გამეკეთებინა, მაგრამ ძნელია თქმა თუ რამდენად გამოადგებოდა ჩემი კარიერა ჩვენს ქვეყანას. ამ უმადურ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობასაც ხომ უნდა ჰყავდეს თავისი მსახურები“. განვიხილვა ცხოვრებამ დაამტკიცა თუ რამდენად სწორი იყო მისი ახალგაზრდული გადაწყვეტილება და ქართულ - პოლიტიკურ საქმიანობას რამდენად სჭირდებოდა მისი ენერჯია, ცოდნა და უნარი.

ალსანიშნავია, რომ ალ. ასათიანი სტუდენტობის დროს ე. წ. პროგრესიულ ჯგუფს მიეკუთვნა და თავის თავს მემარჯვენე სოციალისტს უწოდებდა. ვინც მის ბუბებას იცნობს, ადგილი წარმოსადგენია, რომ ამ სახელწოდების გასამართლებლად იგი საქართველოში დაინახავდა სათანადო ცოდნა - განათლება ჰქონოდა. ამიტომ დიდს მუყაიაობით შეუდგა სოციალისტური აზროვნების განვითარების შესწავლას, რამაც სტუდენტობის დროს მას მარქსიზმის კარგი მკოდნის სახელი დაუმსახურა. რაც მეტად შევისწავლე ეს მოძღვრება იმდენად მეტად დავსწორდი მას და დავრწმუნდი, რომ რამდენადაც შორს იქნება საქართველო მარქსიზმისაგან იმდენად მალე იპოვის თავის პიროვნებას და მით უფრო გადავიღდება ქრონულ ტრადიციების აღდგენა და თავისუფლების მოპოება“.

ეს იყო მისი ხანგრძლივი მუშაობისა და საკითხის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ დამუშავებული მსოფლმხედველობა და ამას განსვენებულნი არასოდეს აღარ დაშორებია. „მარქსიზმის შესწავლისათანავე შევიგენ, რომ ჩვენს დაცემული ვინაობის აღდგენა და ჩვენი თავის ჩვენადვე მიყუდნება“ ინტერნაციონალური გზით არ მოხერხდება“.

დაუშრეტველი ენერჯიის ახალგაზრდა, დიდი ცოდნითა და შრომის უნარით დაჯილდოებული ალ. ასათიანის წინაშე დამსვა საკითხი: თუ რა საშუალებით უნდა ემოქმედნა, რომ ქართველ ერს თავისი ვინაობა აღედგინა და თავისი პიროვნება ეპოვა.

სამშობლოს სიყვარულით გულ - დათუთქულმა ალექსანდრემ მალე მოძებნა მოქმედების ადგილი და საშუალება, რომელსაც მთელი თავისი ცოდნა და შემოქმედებითი უნარი შეაღია.

სწორედ ამ პერიოდში ყალიბდებოდა ილიას იდეოლოგიური მემკვიდრეობის ორგანიზაცია. საქართველოს კულტურულ ცენტრებში - თბილისში და ქუთაისში უკვე გამოდიოდა ქრონული და დემოკრატიული მიზნითულების გაზეთები: „საქართველო“ და „სამშობლო“, რომელთა ორგანიზაცია თავს იყრიდა ქრონულიად მოაზროვნე ქართული

ინტელიგენცია. ალ. ასათიანიც მათ რიგებში ჩადგა. როდესაც განსვენებულმა სპ. კელიამ თავა ამ წრეებიდან ერთი პოლიტიკური პარტიის დაარსება, აქ ალ. ასათიანი უყვე და მსახურებულ მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილს იჭერს და მას თავმჯდომარის ამხანაგად ირჩევენ.

არ შეიძლება შექმნევიტ აიხსნას, რომ ისეთი კრებულში სადაც თავს იყრიდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი: ქირისუფლები, როგორც იყო სამშობლოს გრძნობებში დაფერვლილი: იყანე ჯავახიშვილი, სახელგანთქმული მოღვაწეობა: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი გვაზავა, გიორგი ყურულა, ივანე ზურაბიშვილი და სხვა მრავალი მათი თანატოლები და თანასწორნი, რომ ამ კრებულში სრულიად ახალგაზრდა 27 წლის ყმაწვილს ალექსანდრეს მეთაურთა შორის თავმჯდომარის ამხანაგად ირჩევენ.

ამ დროიდან იწყება ალ. ასათიანის უნარის გაშლა. ალ. ასათიანი უროგნულ საბჭოში, ალ. ასათიანი პარლამენტში, ალ. ასათიანი დამფუძნებალ კრებაში შემავალი ტენიკურსა და სპეციალური კომისიის წევრი, სახალხო ყრილობებზე და მოტინგებზე. ერთი სიტყვიტ ალ. ასათიანს ვხედვით ყველგან, სადაც ხალხია და ხალხისურთ რამ კეთდება. ალ. ასათიანის მხურვალე შინაწილებით შეიქმნა ქართული საგაქრო პალატა და მრავალი ფინანსურ - ეკონომიური საზოგადოებები, რომელსაც დღეს, 30 წლის განმავლობაში, ევროპა - ამერიკის ცხოვრების გაცნობის შემდეგ სიამაყით ვიკონებთ, რომ ასათიანის და თითებზე ჩამოსათვლელ მის მსგავსთა წყალობით - ამ დროინდელი საქართველო თავისი სოციალ - ეკონომიური მშენებლობით ევროპა - ამერიკის თანამედროვეობის სიმალეზე იდგა.

ამ პერიოდს ეკუთვნის ალ. ასათიანის შრომა „მისის საკითხი საქართველოში“. წიგნი დაწერილია მეცნიერული მეთოდით და დრმა ცოდნით, რომელსაც ძალიან დიდ ხანს იშველიებდა და იმოწმებდა ქართულ უნივერსიტეტში ეკონომიური გეოგრაფიის პროფესორთა გეტმანი.

მაგრამ 1921 წლის თებერვალში ქართული მხის ბრწყინვალეობა ჩრდილოეთის სუსხმა დაჩრდილა და მსოფლიო პროლეტარიატის კეთილ მოწყობის სახელიტ რუსეთმა კვლავ მოსპო ქართული სახელმწიფოებრიობა და ხელ ახლად თავის სამფლობელოდ გამოაცხადა.

ალ. ასათიანმა მოქმედების ტაქტიკაც შეიცვალა და სახელმწიფო კონსტრუქტიული მუშაობიდან არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა.

ალ. ასათიანმა აქ შეიტანა თავისი დიდი ცოდნა, დაუზოგველი ენერჯია და თრგნიზაციის დიდი ნიჭი და უნარი, რომლიტაც იყო უხვად იყო დაჯილდოებული. ირანზე საიდუმლო მეზობლო ორგანიზაციებში, სამხედრო ცენტრი, პარტიზანული რანშები და მუშავდება მტერთან ბრძოლის გეგმები. აქ ალ. ასათიანი ან მეთაურთა ან მეთაურებშია. მტერს არ გამოუპარა მისი აქტიური ბუნება და 1922 წელს მას სტუტსაღებენ. ალექსანდრე ახერხებს ციხიდან საადამიოფოში გადასვლას და იქიდან კი გაქცევას. საქართველოში რამდენიმე თვით ფარულ მუშაობის შემდეგ ის საზღვარ გარეთ გამოდის და იწყებს პოლიტიკურ ბუ-

შობას. აწყობს ორგანიზაციებს და სცემს უფრანალ - გაზეთებს. ყოველ მდგომარეობაში იმედინანია, კეთილი, თავმდაბალი. დიდთან დიდი, პატარასთან პატარა. ის ემიგრაციაშიაც მალე გადაიქცა საყვარელ ადამიანად.

სხვა რომ არაფერი ვაცვებინა განსვენებულს, სკამაროის იყო მისი „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“, რომ ვალ - მისილი გრძობით ჩასულიყო სამარქში. მე შგონი არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ იმ მატერიალურ პირობებში, რომელშიც განსვენებულს უბედობდა ცხოვრება, ერთად ერთი იყო, რომელმაც შოაზერხა დიდ ტანისანი სერიოზული შრომის დაწერა და გამოქვეყნება. ჩემის აზრით, დღევანდლამდე არსებულ ცდების შორის, ალექსანდრე ყველაზე ნიჭიერი და ბრწყინვალედ შესძლო საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკურ რეალიზი. მან უბრალო მაგალითებით დაანახა მკითხველს ის სითაღლითე, რომელზედაც რუსეთის პოლიტიკა იყო დაშენებული; ხოლო მესამოციანთა მოღვაწეობის პოლიტიკური რეალიზი დიდ ხანს დარჩება ქართველ მამულიშვილთა შორის სახელმძღვანელოდ.

ორგანიზაციულ და მატერიალურ სიღატაკში მოუხსრო ქართველობას მეორე მსოფლიო ომმა. მაშინ როდესაც კვალიფიციურ პოლიტიკოსებს შორის დაიწყო საკითხი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ურთიერთობა ნაციტურ გერმანიასა და ქართულ დემოკრატიულ ორგანიზაციებს შორის, იცნობდა თუ არა გამარჯვებული გერმანია ემიგრაციას და მოახდენდა თუ არა ემიგრანტული იერარქიის რეკონსტრუქციას, ალექსანდრესათვის ნათელი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფალი სახელმწიფოებრიობა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე უნდა დაშენებულიყო. ამიტომ, სრულის შეგნებით პასუხისმგებლობისა, მან ჯარის კაცის ფარაჯა ჩაიცვა და სუსტიანი წინააღი კავკასიონის ქედის კალთებზე გაატარა. ბევრ ახალგაზრდას, ლეგიონებში თუ ტყვეთა ბანაკებში — და დარწმუნებული ვარ აქ დამსწრეთა შორისაც აღმოჩნდებიან ცოცხალი მოწმენი — რომლებმაც ესწომებათ ალ. ასათიანის თბილი, მამა-შვილური შეხვედრა და მზრუნველობა.

გერმანელების დამარცხების შემდეგ საფრანგეთში ბუნებრივი რეაქცია დაიწყო. ორიოდე უმსგავსო ქართველთა მოქმედებით გახელდებულმა ფრანგებმა ბევრი ქართველი დააბატმირეს. მათში მხოლოდ ალექსანდრე იყო, რომელმაც პოლიტიკურად დააყენა საკითხი და დაიცვა; თავი დამნაშავედ არა სცნო და თავისი „დანაშაული“ ე. ი. გერმანელებთან თანამშრომლობა მტკარით და ძალდატანებით არ ახანა. ამის გამო ფრანგული პოლიციის შრისბანება ყველაზედ მეტად ნას დაატყდა და ბოლოს იძულებული იყო, დროებით, ისპანიაში გადასახლებულიყო, სადაც მან განიცადა აუწყარელი მატერიალური სიღატაკე. მეგრამ ალექსანდრე ვერც ამან გასტეხა; ვერც ამან ჩააქრო ან შეანელა მის გულში სამშობლოს სიყვარული და ბრძოლაზე ხელი ვერ ადებინა. ის კვალ და კვალ მიჰყვებოდა ცხოვრებას და ვინც ქართულ პრესას თვალს ადევნებდა — დამეთანხმება — რომ მთელ ძველ მოღვაწეთა შორის ალექსანდრე ერთად ერთი იყო, რომელიც არ გაიყინა წარსულზე და ყველაზე უკეთ ერყვოდა საერთაშორისო მოვლენებში.

მასსოცს მისი პირველი წერილი, ამერიკაში ახლად ჩამოსულ მეგობრებს რომ სწერდა: „ამერიკამ სწორედ მაშინ დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, როცა რუსეთმა ჩვენ მოგვსპო და გეოგრაფიული რუქიდან წაგვშალა. ამიტომ ქართულ საკითხს ამერიკა არ იცნობს და ეს გარემოება თქვენ გაკისრებთ მეტად მძიმე პასუხის მგებლობას, აბა თქვენ იცით, ჩვენც შეძლების და გვარად შორიდან მოგვხმარებითო.“

განსვენებულს აღარ დასცალდა პირობის ასრულება. უღმობელმა სიკვდილმა მოგეტაცა ქართული საქმის შეუცვლელი მახურნი, კარგი მეგობარი და სანშობლოს უზენაეს ინტერესების მარადიული გუშაგი, რომელმაც დაუღალავი შრომით და გარჯიშ ქართულ პანთეონში დაიმკვიდრა ადგილი.

ჩვენ კი მისი დამწუხრებელი მეგობრები, განსვენებულთან ერთად დავსტრინით მისი დაკარგვით გამოწვეულ პოლიტიკური პიროვნების კრიზისს, რომელსაც იმდენად მეტად იფრქობს მთელი ქართული აზროვნება, რამდენადაც მეტად დაუპირდაპირდება თავისუფალი მსოფლიო რუსულ იმპერიალიზმის ლტოლვას.

† ალექსანდრე ასათიანის დაკრძალვა

ამა წლის 2 იანვარს, ქალაქ მიუნხენში, ველდფრიდჰოფის სასაფლაოზე დაკრძალულ იქმნა ერ. დემოკ. პარტიის თავმჯდომარე-ლიდერი, კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ალ. ასათიანი. დაკრძალვას დაესწრნ უცხო და ჩვენი მეგობარი ერების: უკრაინის რადის, მთავრობის, რედაქციებისა და ა. შ. 5 ის მიურ წაზმოდ შევიდა დელეგატები; ბელორუსისა და ყაზახების კომიტეტის წარმომადგენელი, კავკასიის ერებისა და ხალხების კომიტეტთა დელეგატები და მთლიანათ მიუნხენში მყოფი კავკასიელები ქართველობასთან ერთად. პარიზიდან ჩამოსულთა ერთგულთა ცენტრისა და ერთგულ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, სწირა და წესი აუგო პარიზიდან მიწვეულმა მოძღვარმა მამა ილია მელიამ. კუმო შეხვეული იყო ქართულ ერთგულ დროშაში და მორთული უამრავი ვარდ-ყვავილთა გვირგვინებით. ერ. დემოკრატ. პარტიის, საქ. სოც. დემოკრატიული პარტიის, საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიისაგან, „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციისაგან, პარიზის და მიუნხენის კოლონიებისაგან, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტისაგან“, ექ. გრ. და მიხ. აღშობაძეების ოჯახებიდან და განსვენებულს მეგობართაგან.

თეთრი თოვლით დაფარულ, მეგობარი დიდი ურის მიწაში გათხრილ საფლავთან სიტყვები წარმოთქმეს: მიუნხენის ქართული კოლონიის და ერთგულ დემოკრატ. პარტიის სახელით კოლონიის თავმჯდომარემ ექ. ვოფი მაღალაშვილმა, პარიზის კოლონიის სახელით ყოფილ-

მა მინისტრმა ბ. რ. არსენიძემ, საქ. ს. დემოკ. პარტიის სახელით ბატონ ა. კორძაიამ, კავკასიის დამოუკიდებლობისა და ჩრდილო კავკასიელთა სახელით ბ. ალ. კანტეშირა, აღმოსავლეთკავკასიელთა სახელით ექ. ოროისმა და უკრაინის რადისა და მთავრობის სახელით პროფ. იურჩენკომ, დასაფლავების შემდეგ იქვე ახლო დასახლებაში მიწვეულ იქმნა დამსწრე საზოგადოება სადღესღეს, რომლის დროს მეტად შინაარსიანი და მგრძობიარე სიტყვა წარმოთქვა ბატონ დავით ვაჩნაძემ და მამა ილიამ. წაკითხულ იქმნა მიღებულ სამიძიარის დებულებო. ბ. ელ. პატარაძემ მოკლედ აღნიშნა ალ. ასათიანის სიკვდილით პარტიისა და ერისადმი მოყენებული დანაკლისი და პარტიის სახელით მადლობა გამოუცხადა დამსწრე საზოგადოებას.

მიღებული სამიძიარის ბარათებიდან

უცხოელ და ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებისა და პიროვნებათაგან მიღებული სამიძიარის ბარათებიდან და დებულებიდან ვაჭვევინებთ მხოლოდ იმათ, რომელთა დასტამბვა გვინოვეს ავტორებმა და ისეთებს, რომელნიც ახასიათებენ განსვენებულის პიროვნებას.

საქართველოს ერ. დემ. პარტიას

უაღრესად ვიგლოვ ალ. ასათიანის დაკარგვას, - დიდი უდროოდ დაკარგვას დიდი ქართველი პოლიტიკური მრღებლისა, მებრძოლისა და მოაზრონისა, რომელიც საქმით, კალმით და სიტყვით თავგანწირულად ემსახურა ქართველ ერს თავისი ახალგაზრდობითგან უკანასკნელ დღემდე მისი ცხოვრებისა.

მოვასხენებ სამიძიარს საქ. ერ. დემ. პარტიას მისი ერთი უდიდესი ხელმძღვანელთაგანის, ორგანიზატორის, მომქმედის და პუბლიცისტის მისგან განშორების გამო.

და ამავე გულწრფელ სამიძიარს ვუთავლი ჩვენ ტანჯულ უბედურ ქვეყანას, რომელიც მის აწ განსვენებულ ღირსეულ ძეს ისე უყვარდა და რომლის მტერთა წინაღმდეგ ბრძოლაში მან განულო მთელი მისი ცხოვრება, ხოლო რომლის ხან-მოკლე ბედნიერების დროს იგი იღვწოდა მისი მკვიდრი საფუძველზედ აშენებისათვის.

საქართველოსათვის დეაწლი იყო აღექსანდრეს ცხოვრება დანიშნულება და აზრი, მისი უდიდესი ვალი ან ქვეყანაზედ, და ეს ვალი მან ბრწყინვალედ მოიხადა როგორც იქ, დაცემული სამშობლოს აღდგენისათვის და მისი თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლით, ისე აქ, უცხოეთში, ამ ბრძოლის განაგრძობით.

აღექსანდრე იყო იმ ქართველთა გვარისა, რომელთაც მათი მზნე კაცობით, კურთხით და გულით შესაძლებელ-ჰყვეს არსებობა და წარმატება ქართველი ერისა. ამიტომ ქედ-დადრეკილი პატივისცემით მათ ძველთა ხსოვნას და მათ საფლავთ, სადაც კი იგინი დაშთქილან, და მეც აქ, უცხოეთში, მიუწინაშე „ტყის სასაფლოზედ“ ახლად გათხრილ

საფლავის წინაშე დიდი ქართველი მამულის-შვილისა ქედს ვიბრი და ვამბობ: გიყვარდა საქართველო, ძვირფასო ალექსანდრე, და მისთვის თავდადებული რაინდი იყავ მხოლოდ და მხოლოდ, და დიად ღირსი ხარ, რომ ხსენება შენი საუკუნოდ იყოს ქართველთა შორის!

მიხვილ წერეთელი

მიუნხენი.

საქ. ერ. დემოკრატიული პარტიის კომიტეტს

დიდი მწუხარებით ვაგივით ღრმად პატივცემულ ალ. ასათიანის ასე უღრროდ ვარდაცვალება. ალექსანდრეს დაკარგვით არა მარტო თქვენ ქართველებმა, არამედ ჩვენც ადერბეიჯანელებმა და საერთოდ კავკასიელებმა დაგვარგეთ კავკასიელ ხალხთა დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის უებრო შებრძოლი. საუბედუროდ ძველი, ბრძოლაში გამოცდილი, გვარდიის რიგები მცირდება და სუსტდება. ეს იწვევს ჩვენში ღრმა სევდა-მწუხარებას: მხოლოდ ერთად ერთი ნუგეში-ის, რომ, იდეა ამ ძველი გვარდიის, რომელსაც იგი მთელი თავისი არსებით ემსახურებოდა, იდეა კავკასიის განთავისუფლებისა, ღრმად შეიჭრება მონავალთა თაობის სულში და გულში, ღრმად გაიდგამს იქ ფესვებს და სავანებო ისტორიულს შიშინებში საგანებო როლს თამაშობს კავკასიელ ხალხთა განთავისუფლების საქმეში.

აზერბეიჯანის ეროვნული ცენტრის სახელით გთხოვთ მიიღოთ ჩვენი ღრმა და გულწრფელი ნონაწილეობა თქვენს მწუხარებაში.

ე. რასულ - ზადე

ანკორა. 5 იანვარი 1954 წ.

აზერბეიჯანის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე. აზერბეიჯანის ეროვნულ საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

ეროვნებათა ანტიბოლშევიკური ბლოკის ცენტრ. კომიტეტისაგან

დიდის მწუხარებით ვაგივით კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის და ერ. დემ. პარტიის ლიდერის, ერთა თავისუფლებისათვის დიდი შებრძოლი ქართველის ალ. ასათიანის უღრროდ ვარდაცვალება.

უცხადებით უღრმეს თანაგრძნობას კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტსა და საქ. ერ. დემ. პარტიას მიუძღვის.

გრწამდეთ, რომ ბოლშევიკური და რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით და რომ ამ ბრძოლას დაემათავრებთ ჩვენი ერების გამარჯვებითა და მათი თავისუფალი სახელმწიფოს აღდგენით.

ცენტ. კომიტეტის თავმჯდომარე: იაროსლავ სტიცკო.

საქ. ნაც. დემოკრატიულ პარტიის კომიტეტს

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი და თანაგრძნობა ცნობილი

ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ასათიანის გარდაცვალების გამო.

მეტად სამწუხაროა, რომ ის ვერ მოესწრო ეხილა საქართველო-კვლავ თავისუფალი და დამოუკიდებელი, რაც იყო მთელი მისი საქმიანობის მთავარი საგანი.

საქ. სოც. დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას

გთხოვთ ნილოთ თეთრი გიორგის მოძრაობის თანაგრძნობა საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელის ალექსანდრე ასათიანის გარდაცვალების გამო.

თქვენთან ერთად ვგლოფობთ დიდი ქართველის დაკარგვას, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე დაუღალავად და უზომოდ იდგა სამშობლოს საგულშეოფნე და ბრწყინვალედ ასრულებდა ეროვნულ მოვალეობას. ალექსანდრეს სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ემიგრაციისათვის.

თეთრი გიორგის სახელით: კ. ხალია

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიას

დაგვიანებით მივიღეთ თავზარდამცემი ცნობა ალექსანდრე ასათიანის გარდაცვალებისა. ჩვენ კარვად ვიცნობთ მას; ცარიანტულ რეჟიმის დროიდან ის იწეოდა დიდ პატრიოტულ მუშაობას ქართველ ერში საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად დიდი ილიას მიერ აშენებულ სამიჯგვლზედ. მას არასოდეს უფიქრია თვით ვანდიღებაზე. როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო რუსეთის ბოლშევიკურმა რეჟიმმა, ალექსანდრე ასათიანი საქართველოს პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებთან ერთად იხიზნება უცხოეთში. უპირველესად ყოვლისა ის ცდილობს შექმნას გაერთიანებული ფრონტი ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკურ პარტიებს შორის. ალექსანდრე აქვეყნებს მოზრდილ შრომას: „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“. ეს წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა არა მარტო ემიგრაციაში, საქართველოშიც. უცანაყნელი თმის დროს, მრავალ რიცხოვან ქართველ დატყვებულ მხედრობას ის ევლინება, როგორც ჯარის ვაცი, ძმა და მასწავლებელი. მან განიცადა გადმობეჭვილობის მწარე ხედრი, მაგრამ განთავისუფლებული ქართველი ური მას მიახვეწებს ქართველ გმირთა პანთეონში და მისი უკვდავი სახელი დამშვენებს საქართველოს ისტორიის ფურცლებს.

ლონდონი. სათვითკომოს თავმკდომარე: გ. ჯავახიშვილი

მღაფანი: ი. გვარამაძე

16 იანვარი 1954 წელს. ქ. ლონდონი

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის, ლონდონის ორგანიზაციის წევრნი და თანამოზიარენი, ვუერთდებით საერთო მწუ-

ხარებას, პარტიის ლიდერის, ალექსანდრე ასათიანის გარდაცვალების გამო

დაკოდილი ველით აღენიშნაეთ ამ უბედობას, არა მარტო ეროვნულ დემოკრატიული პარტიისა, არამედ მთელი ქართველი ხალხისას.

ჩაპჭრა, ერის განწინათვისუფლებელ ბრძოლის გზის გამხანათებელი ერთერთი ჩიროლდანი.

მუხლს ვიდრეცთ განსუენებულის წინაშე და აღუთქვამთ უფრო მჭიდროდ შეკავშირებას პარტიის რიგებისას, შეუბოვარი ბრძოლის საწარმოებლად მტრის წინაღმდეგ.

ლონდონის პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარე
ინჟ. ი. მენთეშაშვილი

საქართველოს ეროვ. დემ. პარტიი მთავარ კომიტეტს

საქართ. ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ალექსანდრე ასათიანის უდროოდ გარდაცვალებამ, ჩვენი ორგანიზაციის ყველა წევრებში გამოიწვია უდიდესი მწუხარება.

მისი - ბრძოლა - შრომა და ღვაწლი სამშობლოს თავისუფლებისთვის - ჯერ კიდევ იქ საქართველოში და შემდეგ ემიგრაციაში რჩება ჩვენთვის სამაგალითოდ. მისი მიზანი - სრულიად თავისუფალი დემოკრატიული საქართველო, არის ჩვენი გზა და მიზანიც, რომელსაც გაეყვებით ბოლომდე შეუდრეკლად.

იდიდა ჩვენი გულის ტყვილი, მაგრამ გემართება მხნეობა. ეთელით ჩვენ წმიდა მოვალეობად - ვიართ აღექსანდრე ასათიანის და სხვა ჩვენი ბრძოლაში დაღუპულ მეთაურთა მიერ გაკაფული გზით და გეწამს, რომ ეს გზა ახლო მომავალში, მაგვიყვანს საქართველოს თავისუფლებამდე.

ა. ასათიანის შაონა, როგორც სამშობლოსთვის შეუბოვარი მებრძოლის და როგორც კარგი ქართველი ადამიანის მუდამ დარჩება ჩვენს გულში.

საქ. ეროვ. დემოკ. პარტიის სოშოს ორგანიზაცია.
იანვარი 1954 წ.

ეროვ. დემ. პარტიის პარიზის კომიტეტს

დაესტირით ეროვნული პოლიტიკის შეუმცდარსა და ენერგულ შეუცვლელს მსახურის, ჩვენი მეთაურისა და საუკეთესო უფროსი მებრძოლის უდროოდ დაკარგვას, გეცდებით მოვსდითთ მის კვალსა და გასაკვირებულის ენერგიით ვამუშაოთ და ვიბრძოლოთ მისი და ჩვენი ეროვნული მიზნის მისაღწევად.

მ.სინჯიკაშვილი, აღ. ცომაია
ნენე-იორკი.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას

გულდაკოდილი, თვალცრემლიანი ემშვიდობებები ჩემს, ქაბუკი ხანიდან ძვირფას მგობარს ალექსანდრე ასათიანს.

ალექსანდრე ასათიანი იყო უმშვენესი მადალითი სპეტაკი პატრიოტიზმის, შეუღრეკელი მებრძოლის და ერის უანგარო ბურჯი. თვისი დიადი ქართველი ადამიანის ბუნებით, საქართველოს მკვდრეთით აღდგენის საღაჯოჯოხედ იღვა მტკიცედ და შეურყეველად.

გაგეშორდა, ყოველთვის მოძაავი. დღეს უძრავია, მაგრამ მისი სახელი, ნემკვიდრეთათვის საამაყოთ ბრწყინვალე ადგილს დაიკავებს ჩვენი ტანჯული ერის მებრძოლ ისტორიაში.

ალექსანდრე ყიფიანი

ლონდონი.

მეტად დაგვაშურა ალექსანდრე ასათიანის მოულოდნელად გარდაცვალებამ. მისი ხანგრძლივი უანგარო და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართველი ერის საკეთილდღეოდ მუდამ იქნება ყველასათვის მისაბამ შავალითად. ასევე მისი დანაკლისი შწვავით საგრძნობია საქართველოს თავისუფლებებისათვის ბრძოლის მიწურულში: ჯერ კიდევ საქირი იყო მისი ცოდნა და გამოცდილება, მარად იმედიანი რწმენა და შეუღრეკელი ნებისყოფა.

ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ კი დაკარგა თავის საუკეთესო მეთაური და იდეური ხელმძღვანელი. მისი ხსოვნის პატივისცემა ჩვენ გვაულებს მასავით უნერგიული ბრძოლის გაგრძელებას, ჩვენი მიზნის — საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად.

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი ქართველთა შთამომავლობისათვის.

სოზო. ს. კირაქაძე

ბედის უუტღმართობამ მოგვაშორა კიდევ ერთი პარტიის ლიდერთაგანი ალექსანდრე ასათიანი.

ეს ის ადამიანი - რომელმაც ყოველივე ჩვენს პარტიასა და ერს მესწირა. მის სიცოცხლეში არ ასხვდა, ცოტათი შინც ნორმალური ცხოვრება. არ ამორებია, როგორც საქართველოში აგრედვე უცხოეთშიდაც, ციხე, ტანჯვა მორალური და ფიზიკური. მიუხედავად ამისა, მუდგარად იღვა მის მიერ გაცვლულ მზაზე და ბედის უუტღმა ტრიალს რომ ხელი არ შეეშალა. კიდევაც მიაღწევდა თავის მიზნებს. გულით ტირილით, იმავე დროს მომავლისადმი იმედით შევხვდით მის უღროვით დაკარგვას.

საკედლი, დანგრეცა, ციხე, ციხიბირი, იარალით ბრძოლა, სისხლით მორწყვა ჩვენი მიწა წყლის, საქართველოს თავისუფლებისათვის ჩვენი პარტიის ხედრია.

ჩვენს ბუნებას არ ეგუება: რეკლამები, თავის ქება, უიმედობა, შიში და სულით დაცემა, არამედ გაჭირების და მწუხარების დროს უფრო მეტად ვამგ რება

ჩვენი მოვალეობა არის: განსვენებული ალექსანდრეს სული სულ იღუმბალო მეთაურად ვიფულოთ, და ეს იქნება გარანტია მის მიერ წარმოცხადებული საქმის საბოლოოდ გამარჯვებამდის გასაყოფელებლად. განისვენე იქ, სადაც განისვენებენ ჩვენი ქვეყნისათვის ყველა ერთგული, მორწმუნე, მუდამ უცვლელი სამფროვანი დროშის ქვეშ მებრძოლი შვილები.

ვალანტინე დ. ახვლედიანი

ეროვ. დემოკრატიულ პარტიას

ულმობებელმა სოცედილმა უცაბედად ხელიდან გამოგეტაცა დიდი ქართველი, დიდი მებრძოლი სიტყვით, წერით და საქმით. თვითვეული წუთი და ნაბიჯი მის მიერ დახარჯული და გადაღმული იყო საქართველოს საკეთილდღეოდ. სულ მუდმივი ომები და ჩვენი მუშაობის გამარჯვებით დაგვირგვინება, აშკარად სჩანდა მის განოხედებაში, საუბარში და საქმიანობაში. თავის ყოზედ და ქვეყანაზედ განუწყვეტელი ზრუნვა და ფიქრი, მისი გონების და სულის მუდმივი საზრდონი იყვნენ. მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია ქართულ თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. ჩვენ მის მიმყოლ თაობას, ყოველთვის გვესლომება მისი აზრიანი და დასაბუთებული მსჯელობა, ერის მეობის და უფლებების შესახებ. მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა, გამომდინარე ერის სულიდან და დაფუძნებული ერის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებზედ, ცხოვრების პირობების ცვალებადობის მიყოფით, ილიას პოლიტიკური მოძღვრების გაგრძელებაა. მისი დასახებრება დიდია ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მომავალი თავისუფალი საქართველო მის ხსოვნას და პატივისცემას აიტანს იმ სიმაღლეზედ, რომელიც შეფერის ერის გულშემატკივარ და ქვეშაირთ აზრების დაუღალავ მქადაგებელს.
ლონდონი. უოტ. ფაშალიშვილი
ანგლო გიგოლაშვილი

სხვა და სხვა ქვეყნებში გადახდილი პანაშვილები

მიუნხენის ქართულ კოლონიის გამგებობის თათონობით, ბერძნების ეკლესიაში დასაფლავების წინა დღით გადახდილ იქნა პანაშვიდი ალ. ასათიანის სულის მოსახსენებლად. სწორეს პარიზის ქართული ეკლესიის მოძღვარმა მამა ილიამ და ბერძნებს მღვდელმა. პანაშვიდს დაესწრენ ქართველობასთან ერთად ჩვენი მოძმე ერების წარმომადგენლები.

პარიზი: ქართულ ეკლესიაში გადახდილ იქნა მეცხრე დღისა და მეორმოცე დღის პანაშვილები, რომელთაც უკლებლავ დაესწრო მთელი ქართული კოლონია. მწყობრად ჩატარებული წირვები მრავალრიცხოვანი გუნდის თანამშრომლობით და ის საერთო მწუხარება, რომელსაც მთელი ქართველობა განიცდა, ამჟღავნებდა განსვენებულისადმი უაღრეს საყვარულსა და პატივისცემას და გამსაკუთრებით ქართული ოჯახის სულიერს ერთობას გაჭირვების დროს.

ლონდონი. გადახდილი იქმნა, ქართული კოლონიის გამგეობას მიერ ორმოცი დღის საეკლესიო პანაშვიდი, და განსვენებულის საპატივცემლოდ გამართულ იქმნა საერთო კრება, რომელსაც მთელი ქართველობა დაესწრო და მათთან ერთად უცხოელებიც.

ბენუას-აერო. ადგილობრივი კოლონიის გამგეობის მიერ, მოწყობილი იქმნა საეკლესიო პანაშვიდი და საზოგადო კრება, განსვენებულის საპატივცემლოდ. დაესწრო მთელი ქართველობა და მრავალი უცხოელი, განსაკუთრებით ზენი მეგობარი ერების წარმომადგენელი ალნიშნულ იქმნა და დაფასებულ აღ. ასათიანის უროვნული მოღვაწეობა.

ნე-იორკი. ა. წლის იანვრის 17-ს ბერძნების ეკლესიაში, გადახდილი იქმნა პანაშვიდი აღ. ასათიანის სულის მოსახსენებლად, ქართველთა და უცხოელების თანადასწრებით. იმავე თვის 24-ს მისი მეგობრების თაოსნობით გამართულ იქმნა საზოგადო კრება უამრავი საზოგადოების თანადასწრებით. კრების თავმჯდომარე - ბ. აღ. ცომაიამ მოხდელი და ბერძნობიარე სიტყვით აღნიშნა და დაათასა განსვენებულის უროვნული პოლიტიკური მოღვაწეობა. შემდეგ ბ. სინჯიკაშვილმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელსაც ცალკე ვებუდავთ. სამძიმრის სიტყვები წარმოსთქვენ დამსწრეთაგან სხვა წრეებს წარმომადგენლებმაც.

ქართულ სათვისტომოს გამგეობამ, ქართულ ამერიკულმა ლიგამ და განსვენებულს ახლო მეგობრებმა ამერიკულ ჟურნალებში გაუშვეს სამგლოვიარო განცხადებები.

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის ჯაგუნოსან - მატარებლის უფროსი პოლკოვნიკი ვალიდია გოგუაძე, რომელიც სახელოვნად და ემბროულად იბრძოდა საქართველოს მიერ ნაწარმოებ თავდაცვით ომებში.

ერ.- დემ. პარტიის კომიტეტი და „ივერია“-ს რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს და გულითად თანაგრძნობას უცხადებს მის მეუღლეს ქნ ნანეტია გოგუაძისას.

ერ - დემ. პარტია და „ივერია“-ს რედაქცია უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ და მოღვაწე ირაკლი ორბელიანის უღროოდ გარდაცვალებისა გამო.

ერ. დემ. პარტიის კომიტეტი და ორგანიზაცია გულითად მწუხარებას და ძმურ თანაგრძნობას უცხადებს პარტიის წევრს აღ. აბაშიძეს, მისი მეუღლეს მარიამის (დაფის), ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაცვალების გამო.

პარტიის კომიტეტისა და „ივერია“-ს რედაქციის სახელით თანაგრძნობას უცხადებთ ბ. დიმიტრი მდივანს, მისი მეუღლეს—ელისაბედის გარდაცვალების გამო.

დასაბეჭდი მასალები უნდა გადმოიგზავნოს რედაქციის მდივანთან:

V. CHOUBLADZE. 35, rue du Banquier, Paris (13).

Impr. de Navarre, 11, rue des Cordeliers, Paris.

საქ. ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის კომიტეტი უღრმეს მადლობას უცხადებს ყველას მათ, ვინც პარტიის თავმჯდომარისა და ლიდერის ალ. ასათიანის დასაფლავებაზე ან სხვა და სხვა ქვეყნებში გამართულ პანაშვიდზე დასწრებით ან წერილობით, მონაწილეობა მიიღო და გაიზიარა ჩვენი უაღრესი მწუხარება.

ერ. დემ. პარტიის კომიტეტი და პარტია უღრმეს მადლობას უცხადებს მიუნხენის კოლონიის გამგეობის თავმჯდომარე — ბატონ გოგი მაღალაშვილს იმ შორალურ და მატერიალურ დანაშარებისათვის, რომელიც მან აღმოგვიჩინა პარტიის ლიდერის ალ. ასათიანის ავადმყოფობისა და გარდაცვალების დღეებში. ამასთავავე მადლობას უცხადებს მის თანამშრომლებს.

უღრმეს მადლობას უცხადებთ იმ პირებს, რომლებმაც გაიღეს თავიანთი წვლილი ალ. ასათიანის ავადმყოფობისა და დასაფლავების ხარჯების დასაფარავად.

უღრმეს მადლობას უცხადებ ყველა მათ, ვინც პირადად დაესწრნენ ჩემი მეტლლის დაკრძალვასა და პანაშვიდა ან და ვინც წერილობით მონაწილეობა მიიღო ჩემს პირადად და ოჯახურს მწუხარებაში.

უღრმესი პატივისცემით: ალ. აბაშიძე

1990年
10月

4

